ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 23 იანვარი, 2019 | №18 (7873) | ფასი: 60 თეთრი

გვ.2

თბილისში 4 წლის გოგონა გარდაიცვალა

პოლიციამ გოგონას დედა დააკავა

22 იანვრიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისთვის „ოცნება“ დამნაშავეთა სამყაროს ხარკს უხდის“

პაატა დავითაია: „საქართველოში კრიმინალი 60%-ით გაიზარდა“

გვ.2

გვ.2

„კალაძე ტაქსების დისპეტჩერად და მეკუბოვედ გადაიქცა“

ლევან ხაბეიშვილი: „რას წარმოვიდგენდი, თუ თბილისელებს ნარმანია სანატრელი გაგვიხდებოდა“

მამუკა ახვლედიანი: „ეს 10 გვარი შეიცვლება სხვა 10 გვარით, ამიტომ საჭიროა კლანის მოსპობა“

გვ.3

„რაც სასამართლო სისტემიდან წამოვედი, იქ არსებული სიბინძურე უფრო თვალსაჩინოდ დავინახე“

სოსო ცინცაძე: „ერთადერთი გამოსავალი ივანიშვილის პრემიერად დაბრუნებაა“

გვ.5

უჩა ნანუაშვილი: „სასამართლო რეფორმა ვერ განხორციელდა. ამაზე წულუკიანის პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს“

გვ.4

სამართალი

გვ.7



დავით რაზმაძე მოკლულია? რას სწერდა ის დედას დაკარგვის წინა დღეს

თბილისის აეროპორტის თანამშრომელი ბარგიდან ნივთების მოპარვის ბრალდებით დააკავეს

ბორჯომის ტყეში 21 წლის ყვიბისელი სულხან ლომიძის ცხედარი იპოვეს

ვარკეთილში 2 მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ISSN 1987-9385

5 „ბესელიამ კვირიკაშვილის ჯგუფს დაასწრო“

7 დირსის კორპუსი აფეთქებას გადაურჩა

დაკეტილ ბინაში გაზი ჟონავდა

4 განათლების სისტემამ 300 მილიონი ქარს გაატანა

6 მთავრობამ ცხინვალის მოსახლეობასაც მიაქციოს ყურადღება!

„ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისთვის „ოცნება“ დამნაშავეთა სამყაროს ხარკს უხდის“

პაატა დავითაია: „საქართველოში კრიმინალი 60%-ით გაიზარდა“

შორენა მარსაგიშვილი

მართალი კაცია შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ლექსო ჭიკაიძე. მან ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განაცხადა, რომ საქართველოში კრიმინალი შესანიშნავ მდგომარეობაშია. მინისტრობიდან მისი წასვლის შემდეგ კრიმინალი კიდევ უფრო გამოცოცხლდა, გასულ წელს კი კრიმინალებმა სულ აიშვეს.

„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია კრიმინალის არნახულ მატებას საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს.

რა კავშირშია კრიმინალის მატება არჩევნებთან, რა ხარკს იხდის ხელისუფლება, რა შემთხვევაში აილაგმება კრიმინალების თარეში? – ამის შესახებ პაატა დავითაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

პაატა დავითაია:

– საქართველოში საგანგაშოდ გაიზარდა კრიმინალი. ერთია, როცა მედიით იგებ დანაშაულის შესახებ, მაგრამ სულ სხვაა, როცა სტატისტიკას, ციფრებს უყურებ. ციფრები ძალიან მძიმე სურათს გვიხატავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით დანაშაულმა 60%-ით მოიმატა.

საგანგაშოა დანაშაულის გახსნის სტატისტიკაც – 2017 წელს დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 53%-ია, გასულ წელს კი, მხოლოდ 35%.

ეს 60% ყველა სახის დანაშაულს მოიცავს. სტატისტიკურად ძალიან საინტერესოა, თუ რა სახის დანაშაულთან გვაქვს უფრო მეტი პრობლემები. საზოგადოება დანაშაულს ქურდობით, ძარცვით აღვიქვამთ.

ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური მდგომარეობაა, რაც ადამიანებს დანაშაულისკენ უბიძგებს.

2017 წელს თვითმკვლელობამდე მიყვანის 562 მცდელობა დაფიქსირდა. გასულ წელს 1518-ჯერ მოხდა ასეთი შემთხვევა. ამ სახის დანაშაული გაზრდილია 170%-ით. ჩემთვის ყველაზე საგანგაშოა ეს ციფრი. ეს ცხადყოფს, თუ რა მძიმე დღეშია საზოგადოება.

გაზრდილია თვითმკვლელობის მცდელობის რაოდენობაც. 2017 წელს 14 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. გასულ წელს უკვე 30 ადამიანს ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა.

2017 წელთან შედარებით 89%-ით გაზრდილია ქურდობის ფაქტები. სამაგიეროდ, შემცირებულია გახსნის მაჩვენებელი. 2017 წელს ქურდობის ფაქტების გახსნა 44% იყო, შარშან 23% მატება გვაქვს ძარცვაშიც.

სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, 2017 წელს სამართალდამცავი სტრუქტურები გასულ წელთან შედარებით უფრო ეფექტურად მუშაობდნენ.

როდესაც დანაშაული იმატებს

და გახსნის მაჩვენებელი კლებულობს, ბუნებრივია, იბადება კითხვა – რასთან გვაქვს საქმე.

– თქვენი აზრით, რაშია საქმე?

– როგორც ყოფილი სამართალდამცავი, გეუბნებით, რომ ასეთი მაჩვენებელი რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული. არ ხდება ოპერატიული მუშაობა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით. ამაზე უბნის ინსპექტორმა, კრიმინალურმა პოლიციამ უნდა იმუშაოს.

როცა ასეთი მუშაობა მიდის, კრიმინალს აღარ აქვს თავისუფლება. როცა კრიმინალს თავისუფლება არა აქვს, იქ დანაშაული კლებულობს.

2018 წელს სათანადო სამსახურები კრიმინალს პრევენციას აღარ უკეთებდნენ და ამის გამო კრიმინალი გაიზარდა. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს აღარ ეშინიათ არც უბნის ინსპექტორის, არც კრიმინალური პოლიციის. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ რაღაც გარიგებასთან გვაქვს საქმე.

გასულ წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ყველამ კარგად დავინახეთ, თუ როგორ იდგნენ ცესკოს ბეჭდიანი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები საარჩევნო უბნებთან. მედიამ და დამკვირვებლებმა არაერთი ფაქტი დააფიქსირეს, თუ როგორ ხუჭავდა პოლიცია ამაზე თვალს.

სამართალდამცავებს არც ის შეუმჩნევიათ, როგორ აქტიურად ერეოდნენ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები საარჩევნო პროცესებში. არც ის შეუმჩნევიათ, ე.წ. მაყურებლები არჩევნების დღეს როგორ გადასხდნენ ახალ ჯიპებზე.

ვადარებ 2017 და 2018 წლების მონაცემებს და მებადება კითხვა, ხომ არ მოხდა გარიგება კრიმინალურ სამყაროსთან? იქნებ შსს იხდის ხარკს.

– რისთვის უნდა გადაიხადოს ეს ხარკი?

– იმისთვის, რომ კრიმინალური სამყარო მათ არჩევნებში დაეხმარა. იქნებ თავიდანვე იყო ასეთი გარიგება, რომ დამნაშავეები არჩევნების მოგებაში დაეხმარებოდნენ, რის სანაცვლოდ კრიმინალი თავისუფლად იმოქმედებდა.

ეს კითხვები და ეჭვები იმიტომ მიჩნდება, რომ წინ ოფიციალური დოკუმენტი მიდევს, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ დანაშაულმა 60%-ით მოიმატა.

– ამაზე შეიძლება შემოგედავოთ ვინმე. 2017 წელსაც ჩატარდა საქართველოში არჩევნები და მაშინ შარშანწინაც უნდა გაზრდილიყო მკვეთრად დანაშაული.

– ვერავინ შემომედავება. 2017 წელს დამნაშავეთა სამყარო ასე ღიად არ ჩარეულა არჩევნებში. შარშან ეს ძალიან თვალშისაცემი იყო. შემთხვევითი არც ის არის, რომ გასულ წელს დანაშაულის მატება იწყება ზაფხულის პერიოდიდან.

– დანაშაულის მატება საარჩევნო კამპანიის დაწყების პარალელურად დაიწყო?

– დიახ. ზაფხულში იწყო კრიმინალმა მატება, არჩევნების შემდეგ კი დანაშაული კიდევ უფრო გაიზარდა. აშკარაა, რომ რაღაცა გარიგებასთან გვაქვს საქმე.

– რაღაც ისეთი სურათი იხატება, ძველად ომში გამარჯვებულ მხარეს რაღაც პერიოდს რომ აძლევდნენ აღებული ქალაქის გასაძარცვად.

– დაახლოებით ასეთი სურათი გვაქვს. ზევით დანაშაულის წინააღმდეგ პრევენცია ვახსენე. როცა პრევენცია არ ხდება, კრიმინალებს აღარ ეშინიათ და ისინი თავისუფლად მოქმედებენ. ახლა დამნაშავეებმა იციან, რომ მათ ქუჩაში პასუხს არ მოსთხოვენ. კრიმინალური პოლიცია თვალს ხუჭავს რაღაცაზე.

აშკარაა, რომ კრიმინალებს დანაშაულის ჩადენისთვის თავისუფალი მოედანი შეექმნათ. განსაკუთრებით იმატა ძარცვამ და ქურდობამ, ანუ იმ დანაშაულმა, რაც მოსახლეობას ეხება.

ფინანსურმა დანაშაულმა იკლო. ეს დანაშაული უფრო სახელმწიფოს ეხება, ვიდრე მოსახლეობას.

ძარცვას, ქურდობას და ყაჩაღობას ძალიან განვიცდი, ბევრი ადამიანი ზარალდება ამით, მაგრამ ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანის მაჩვენებლის ზრდამ ძალიან მძიმედ იმოქმედა ჩემზე.

1.518 ადამიანი მიიყვანეს გასულ წელს თვითმკვლელობამდე. თვითმკვლელობამდე ძირითადად სოციალურად უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანები მივიდნენ.

მე ვისაუბრე რომ ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისთვის „ოცნება“ კრიმინალებს ხარკს უხდის, მაგრამ კრიმინალის ასეთი ზრდა მარტო საარჩევნო გარიგებასთან არ არის კავშირში.

კრიმინალი იზრდება მაშინაც, როცა ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა. ასეთ დროს ისეთმა ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული, რომელსაც კრიმინალურ სამყაროსთან არანაირი შეხება არ აქვს და ცხოვრებაში არაფერი დაუშავებია.

– სამწუხაროდ, არ არის იშვიათობა, როცა ადამიანები იმიტომ იპარავენ, რომ საჭმელი იყიდონ.

– მძიმე სოციალური ფონიც სერიოზულად ამძიმებს კრიმინოგენურ ვითარებას.

– დამნაშავეთა სამყაროსთვის ხარკის გადახდაზე გავაგრძელოთ საუბარი. როდემდე უნდა უხადოს „ოცნებამ“ კრიმინალებს ხარკი? ამასობაში ხომ შეიძლება მართვის სადავეები საერთოდ გაექცეს ხელისუფლებას ხელიდან?

– თავისუფლად შეიძლება ხელისუფლებას მართვის სადავეები ხელიდან გაექცეს. ასეთი რამეები ჩვეულებრივი ამბავია. ვისაც კრიმინალურ სამყაროსთან შეხება ჰქონია, მან კარგად იცის, როგორ სრულდება ასეთი თამაშები.

მე კარგად ვიცნობ კრიმინალურ სამყაროს და ვიცი მისი ბუნება. ეს სამყარო როგორც კი კომფორტულად იგრძნობს თავს, ყოველთვის შეეცდება, შენზე ზეწოლა განახორციელოს.

ამიტომაც არის, რომ კრიმინალს არსად არაფერს პატიობენ. კრიმინალებთან რაღაცის სანაცვლოდ გარიგებაზე მიდიან, მაგრამ ესეც იმ შემთხვევაში, თუ ამით სხვა, უფრო მძიმე დანაშაული გაიხსნება.

ჩვენთან კრიმინალებს ხარკს უხდიან. ხარკის გადახდაზე საუბარი არც მე მსიამოვნებს, მაგრამ ოფიციალურ სტატისტიკას როცა ვუყურებ, სხვა დასკვნას, უბრალოდ, ვერ ვაკეთებ.

– იმედია, ხარკის გადახდის იქით არ წავლენ და კრიმინალებს პოლიტიკურ თანამდებობებზეც არ დაგვისვამენ.

– მედიას თუ დავუჯერებთ, კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანები ხელისუფლებაშიც არიან. სულ ახლახან, ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში პოლიციის და პროკურატურის წარმომადგენლებს შორის სერიოზულ საქმის გარჩევას ჰქონდა ადგილი. საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა.

გაირკვა, რომ პოლიციის თანამშრომელი დანაშაულის ფაქტის მიჩქმალვას ცდილობდა, პროკურატურის წარმომადგენელმა ეს არ აპატია და ამას მოჰყვა ჩხუბი. თავად ეს ფაქტია ამაზრზენი.

– წლევანდელი დანაშაულის სტატისტიკა როგორი იქნება? 2019 წელს არჩევნები არ ტარდება და იქნება მოუჭირონ კრიმინალებს.

– ამ წლის სტატისტიკაზე მკითხაობა არ მინდა. აქ რამდენიმე ვარიანტია. თუ გარიგებასთან არის საქმე, რაღაც დროის მერე ეს ვითარება შეიძლება დაწყნარდეს. იგივე გარიგებიდან გამომდინარე, სიტუაცია, შესაძლოა, საერთოდ აფეთქდეს. წინ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებია. ამ არჩევნებზეც ალბათ დამნაშავეთა სამყაროს დაეყრდნობიან.

სახელმწიფოს მონდომების შემთხვევაში, მომატებული კრიმინალის მკვეთრად შემცირება შესაძლებელია.

– იქნებ არ შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს კრიმინალთან გამკლავება? ბოლო წლებში სამართალდამცავი სტრუქტურებიდან ძალიან ბევრი პროფესიონალი გაუშვეს.

– სახელმწიფოს ამის უნარი შესწევს. ამას, როგორც ყოფილი სამართალდამცავი, ისე გეუბნებით. პოლიტიკური ნება თუ იქნება, კრიმინალი თავისუფლად აილაგმება.

სამართალდამცავ სტრუქტურებში შევარდნაძის დროს ვიმუშავე. ნაციონალების პერიოდში ამ სისტემაში სულ 2-3 თვე გავატარე და ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება, როცა არსებობს დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკური ნება.

შევარდნაძის დროს ამის პოლიტიკური ნება არ იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფომ ეს ნება გამოხატა. საკმაოდ მკაცრი მიდგომა იყო დამნაშავეთა სამყაროს მიმართ. ამ მკაცრი მიდგომისას რაღაცებში გადაამეტეს და ამიტომაც არიან ახლა ისინი ოპოზიციაში.

ახალმა ხელისუფლებამ კრიმინალთან ბრძოლაში შერჩევითი სამართალი გამოიყენა. ვიღაცების მიმართ სიმკაცრეს იჩენენ, ვიღაცის მიმართ – აბსოლუტურ ლოიალობას.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურებიდან ბევრი პროფესიონალი წავიდა, დანაშაულთან გამკლავება მაინც შესაძლებელია – მანდ კიდევ ბევრი პროფესიონალი დარჩა.

– პოლიტიკური ნება ახსენეთ და „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივანი შვილმა განაცხადა – დანაშაული მოიმატებს და ამას გაგებით უნდა მოეკიდოთო.

– აქედანაც ჩანს, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს. ეს ნება არც იქნება. 2020 წელს მნიშვნელოვანი არჩევნებია და „ოცნებამ“ კრიმინალებს სერიოზული თარეშის ნება მისცა.

ეკა ბესელია: „სტრასბურგიდან მივლინების დასრულებამდე ჩამოვალ და საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დავესწრები“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია აცხადებს, რომ სტრასბურგიდან მივლინების დასრულებამდე ჩამოვა და საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დაესწრება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბესელიამ განუცხადა, უმრავლესობის წარმომადგენლები მას სხდომის თაობაზე დაუკავშირდნენ.

– დამიკავშირდნენ და მთხოვეს სხდომაზე დასწრება. მეც ჩავთვალე, რომ საჭიროა ჩემი ყოფნა. ამიტომ, მივლინების დასრულებამდე ჩამოვალ და ზეგ, საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას დავესწრები, – განაცხადა ბესელიამ. 24 იანვარს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გაიმართება, რომელსაც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი დაესწრება. როგორც უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს აცნობა, უმრავლესობის შეხვედრაზე განხილული იქნება საგაზაფხულო სესიის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის სასამართლოსთან დაკავშირებული თემები.

თალაკვაძის ინფორმაციით, უმრავლესობის სხდომაზე ასევე იმსჯელებენ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის წლიური მოხსენებების მოსმენასთან დაკავშირებით, რაც პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მნიშვნელოვანი საკითხებია. მსჯელობა გაიმართება ბიუჯეტის შესრულებისა და კომიტეტების ანგარიშებთან დაკავშირებით.

– უმრავლესობის სხდომაზე მოწვეულია უმრავლესობის ყველა წევრი, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა ახვლედიანი: „ეს 10 გვარი შეიცვლება სხვა 10 გვარით, ამიტომ საჭიროა კლანის მოსპობა“

ნონა ცაბაძე

საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში არსებულ სიღრმისეულ პრობლემებზე საუბრობს.

„რაც სასამართლო სისტემიდან წამოვედი, იქ არსებული სიბინძურე უფრო თვალსაჩინოდ დავინახე“



– ბატონო მამუკა, იუსტიციის საბჭოსთან გამართული აქციის შემდეგ მოსამართლეებმა პარლამენტს მიმართეს, რათა შეჩერდეს მათი კანდიდატურების განხილვა და შემდეგ დამტკიცება. ბრძოლამ გამოიღო შედეგი?

– მე მგონია, რომ უბრალოდ ახალი სქემა მოიფიქრეს და დრო მოიგეს ამით. საჭირო მომენტს დაელოდებიან. ვერ გაიტანეს ეს წინადადება ამ ეტაპზე ჯანსაღი ნაწილის წინააღმდეგობის გამო, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ტაქტიკასა და მეთოდოლოგიას შეიმუშავებენ.

ესენი უკან ასე მარტივად არ იხევენ, შეეცდებიან, უფრო ორგანიზებული და შენიღბული ფორმით, სხვა გვარებითა და პროცედურებით სულ სხვა თამაშში შეიყვანონ საზოგადოება., რაც რეალურ შედეგს არ მოიტანს.

– ანუ ეს არ არის შედეგი?

– არა. აქ არც სიაშია პრობლემა, არც წარდგენაში, არც პროცედურებში. აქ სხვა პრობლემის წინაშე ვდგავართ. თვითონ სისტემური პრობლემაა. ეს სია არის კანონმდებლობის, რეფორმის ტალღების, კოჰაბიტაციისა და ყველაფერი ამის შედეგი.

დღეს ჩვენ ვებრძვით შედეგებს. შედეგებთან ბრძოლა კი არაფერს მოიტანს. ეს 10 გვარი შეიცვლება მეორე 10 გვარით. ნდობა არ არის თვითონ სისტემის მიმართ, იმიტომ, რომ სისტემა არ არის გამართული. სისტემა, რომელიც იძლევა ასეთი ტიპის ქმედების საშუალებას, რომ ადგეს ერთი კაცი, ჩამოწეროს სია, ეს ერთი ფურცელი გადააგზავნოს პარლამენტში და შესაძლებელია, მეორე დღეს პარლამენტმა განიხილოს და დაამტკიცოს. აი, ეს არის ის კანონმდებლობის შედეგი, რომელიც მივიღეთ.

– ამ ათკაციან სიაზე რას იტყვით? მათთან რა პრეტენზიები გაქვთ? ისინი ხომ თქვენი პერიოდის მოსამართლეები არიან და ერთად მოღვაწეობდით სააკაშვილის ხელისუფლების დროს?

– ჩინჩალაძისა და მისი ჯგუფის წევრებისგან შედგება ეს სია. გეთანხმებით, რომ ერთად ვმოღვაწეობდით. ზუსტად ვიცი, ვინ ვინ არის და ამიტომ ვარ გაკვირვებული, რომ ამ ხალხს მართლა რა უნდა ამ სიაში და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად. კიდევ კარგი, რომ საზოგადოება იცნობს ამ მოსამართლეებიდან რამდენიმე გვარს. თავიდანვე გაჟღერდა მათი გვარები. ჩემი გადადგომაც ხომ ამ კლანის დანიშვნების თემით დაიწყო. მაშინ საზოგადოება არ იცნობდა, ვინ იყო ეს ხალხი.

– ოდიოზური ფიგურები არიან?

– კი ბატონო. თუმცა კონკრეტულ გვარებში კი არ არის პრობლემა, პრობლემა არის თვითონ ეს კლანი, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერ კომბინაციას დადებს. კლანი არ მოქმედებს მარტო სასამართლო სისტემაში.

– რას გულისხმობთ?

– ის ვერაფრით ვერ გააკეთებდა მარტო ვერც ამ სიის წარდგენას და ვერც დანარჩენს, თუ მას თანამზრახველები არ ჰყავს სხვადასხვა სტრუქტურაში, იმავე პარლამენტში, პროკურატურაში, სუს-ში და ბევრ სხვადასხვა ადგილზე, რომელთა დახმარებითაც აკეთებს ამ ყველაფერს.

ამიტომ მგონია, რომ ეს ყველაფერი ტაქტიკური სვლაა.

– როგორი იქნება მათი სამოქმედო გეგმა? რა სცენარს ელოდებით?

– ამ წუთში დასანიშნია სადღაც 18 მოსამართლე. იდეალურ შემთხვევაში, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ამ ადამიანების პირობებში გაიყვანს 5-6 ადამიანს. დანარჩენი ისევ იმ ჯგუფის წევრები იქნებიან. შეიძლება, ჩინჩალაძე არ იყოს, მაგრამ იქნება სხვა.

ჩინჩალაძეს არც აინტერესებს დიდად იქ გადასვლა. მას ძალიან მაღალი თანამდებობა აქვს და ეს არის პრობლემა, რომ ის ამ თანამდებობაზე უკვე უვადოდ არის დანიშნული. ჩინჩალაძის უვადოდ დანიშვნით პრობლემა უკვე დგას და აქ არაფერი იცვლება. კი ბატონო, უზენაესი სასამართლო უფრო მაღალი ინსტანციაა, მაგრამ მოსამართლე მოსამართლეა. ამ ადამიანების მიერ შერჩეული უზენაესი სასამართლოს წევრები არ მოგვწონს და დავიწუნეთ, პირველი ინსტანციის და სააპელაციოს მოსამართლეებიც მათი დანიშნული არ არის? რა, ისინი კარგები არიან?!

– საიდან მოდის პრობლემის სათავე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან?

– იუსტიციის საბჭოს წევრებში და არა მარტო იუსტიციის საბჭოს წევრებში. იუსტიციის საბჭოს ფორმირებაა არასწორი. როდესაც შერჩევა ხდება, ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატთა ასოციაცია, ასევე პროკურატურაც, სახალხო დამცველიც, ყველა უნდა იყოს ჩართული იუსტიციის საბჭოს საქმიანობაში და ჩამოთვლილთაგან არავინ არის ჩართული. თვითონ არჩევენ ერთმანეთს და, რასაც მოილაპარაკებენ, იმას აკეთებენ.

აქ კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა.

– რას გულისხმობთ?

– ამ წლების განმავლობაში სასამართლოში შექმნეს ხელოვნური კრიზისი და ეს საზოგადოებამ არ იცის. ეს ვიცით იმ ადამიანებმა, რომლებიც შიგნით ვიყავით.

კრიზისი შეიქმნა ყველანაირი კუთხით, საქმეთა რაოდენობის მიხედვით, მოსამართლეთა ნაკლებობა, დატვირთულობა. ზოგიერთ სასამართლოში 300-500 საქმე აქვთ მოსამართლეებს.

ჩემს პერიოდში პირველი კონფლიქტი სწორედ აქედან დაიწყო – მოსამართლეებს 6 თვით ადრე აღარ აწერდნენ საქმეებს, რომ ხელოვნურად შეექმნათ ეს კრიზისი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარე ვიყავი და ჩემი თხოვნა იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გამოეშვათ სასწავლებლად.

4 წლის განმავლობაში 30 თუ 40 ადამიანი იყო სულ, ვინც გაიარა იუსტიციის უმაღლესი სკოლა. აქედან დიდი ნაწილი მათი შერჩეულია, ცოლები, მათი ბიძაშვილები და ასე შემდეგ. დღეს კი ხელისუფლებასა და ზოგადად ყველას ეუბნებიან, თუ ჩვენ გაგვიშვებთ და ჩვენ არ ვიქნებით, სასამართლო სისტემაში შეიქმნება ძალიან კრიზისული სიტუაცია, უცებ ხომ ვერ გამოძებნით მოსამართლეებსო.

– კრიზისული სიტუაციაა ამ მხრივ?

– ან ყოფილი მოსამართლე უნდა იყოს, ან იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან მოსული, სადაც წელიწადზე მეტი უნდა, რომ გაიარო ყველა პროცედურა. იქიდანაც თუ ვინმეს ვინმე არ ხარ, მოსამართლედ არ დაინიშნები. შესაბამისად, არავინ იქ არ ხვდება.

გამოდის, რომ მოსამართლეთა ეს ჯგუფი დარჩა უკონკურენტოდ, ჩამნაცვლებელი არ ჰყავს.

სახელმწიფო ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. რომ გაუშვას ეს რაოდენობა მოსამართლეების, საერთოდ უკონტროლო სიტუაცია შეიქმნება, მათი ჩამნაცვლებელი არ ჰყავთ და არ იცის, რა მოიმოქმედოს. ამიტომ ვამბობ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან ეს ყველაფერი არის ან მიზანმიმართულად გაკეთებული, მათ ძალიან კარგად იციან, რას აფუჭებენ, ან არის უცოდინრობა, უუნარობა და საერთოდ არ იციან, სასამართლო სისტემაში რა ხდება და სად არის პრობლემის სათავე.

– და სად არის?

– კლანი საზრდოობს სწორედ ამ წვრილი ხვრელებითა და გვირაბებით, რომელთა არსებობაც გარეთ არავინ იცის.

დღეს სასამართლოში არის 20-30 ადამიანი, რომლებსაც უამრავი სიბინძურე აქვთ გაკეთებული. რაც სასამართლო სისტემიდან წამოვედი, ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. სანამ შიგნით ხარ, კოლეგების საქმეებით ვერ დაინტერესდები. დღეს, უბრალოდ, გაოცებული ვარ, იმდენი სიბინძურე დავინახე.

– გამოსავალს რაში ხედავთ?

– აუცილებელია საზოგადოების ერთად დგომა, კიდევ უფრო მეტი ინფორმირებულობა. ეს პროცესი აუცილებლად გადავა პოლიტიკურში. თუ სხვა ძალით ამ ძალის მორევა გახდება შეუძლებელი, ყველა ეს ადამიანი გაერთიანდება მათ წინააღმდეგ და მაშინ სიტუაცია პოლიტიკურად უნდა შეიცვალოს, სხვაგვარად სიტუაციის შეცვლა აღარ გამოვა.

ამ ადამიანებმა კანონმდებლობა დაწერეს საკუთარ თავზე და პროცედურაც კი არ არსებობს ისეთი, რომ ვინმეს მათი გადაყენება შეეძლოს, უბრალოდ, მათი კეთილი ნებაა, თუ გადადგებიან. მათ კი არანაირი კეთილი ნება და სინდისნამუსი არ გააჩნიათ. მათი უკანსვლა ნიშნავს მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, ამიტომ, სანამ შეეძლებათ, იმოქმედებენ.

– პრობლემის გადაჭრის გზა არ არსებობს?

– აუცილებლად უნდა შეიცვალოს დანიშვნის სისტემა, იუსტიციის სკოლის სწავლება უნდა შეიცვალოს. პროკურატურაც უნდა ჩაერთოს და ადვოკატურაც ამ სწავლების პროცესში. არც ამდენი თავმჯდომარე სჭირდება სასამართლო სისტემას.

თითქოს პატარ-პატარა პრობლემებია, მაგრამ – აუცილებლად გადასაჭრელი. კრიზისული სიტუაციაა და ესენი ამ კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებენ, რადგან, რაც უფრო ცუდი სიტუაცია შეიქმნება, ამათი საჭიროება კიდევ უფრო მეტი იქნება.

– ვინ თვლის, რომ მათი საჭიროება მეტია?

– სწორედ ასე ფიქრობს ხელისუფლება თავისი უცოდინრობისა და უუნარობის გამო.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი – ჯერ მოსამართლეების შერჩევის წესი არ უნდა დაწყებულიყო, ვისაც სისტემის გაჯანსაღება უნდა, ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცედურით, ამათ კი უკუღმა დაიწყეს.

დღეს ჩვენ გვაქვს დიდი ჭაობი და სწორედ იმ კერებსა და არხებს უნდა მივაგნოთ, რომლებითაც ეს ჭაობი იკვებება და საზრდოობს. ჩვენ ამ წუთას მიგვაქვს მიწა და ჭაობში ვყრით მის ამოსაშრობად, თუმცა ასეთი ქმედებით ამ ჭაობს ვერ დავაშრობთ – ეს მიწაც ჭაობად გადაიქცევა, თუ იმ არხებს არ მივაგენით, რომლებითაც ეს ჭაობი იკვებება.

მცხეთის მერი: „მამა კონსტანტინე ჭინჭარაული ცალსახად იმ აზრზეა, რომ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები უნდა გავიდნენ“

მამა კონსტანტინე ჭინჭარაული ცალსახად იმ აზრზეა, რომ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები უნდა გავიდნენ, თუმცა, მომავალში აიკრძალება თუ არა გარევაჭრობა, ამას არ ადასტურებს, – ამის შესახებ მცხეთის მერმა გიორგი კაპანაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მცხეთის მერის ინფორმაციით, გუშინდელ შეხვედრაზე ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა კონსტანტინე ჭინჭარაულმა კიდევ ერთხელ მოითხოვა, რომ გარემოვაჭრეებს დაეტოვებინა ტერიტორია.

ამასთან, გიორგი კაპანაძე აცხადებს, რომ ქალაქის მერს არ აქვს უფლებამოსილება ვინმეს აუკრძალოს გარევაჭრობა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რადგანაც ტერიტორია ცენტრალური ხელისუფლების ბალანსზეა.

– მამა კონსტანტინე ჭინჭარაული არის სასტიკ უარზე, რომ ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე იყოს ვაჭრობა. ჩვენ გვქონდა შეთავაზებული, რომ ჩვენს თავზე ავიღებდით ზედამხედველობას გარემოვაჭრეებზე, რომ არ ყოფილიყო უსუფთაობა და ქაოტური ვაჭრობა. მამა კონსტანტინე ცალსახად იმ აზრზეა, რომ იქიდან ეს გარემოვაჭრეები უნდა გავიდნენ. თუმცა, მომავალში აიკრძალება თუ არა გარევაჭრობა, ამას არ ადასტურებს.

ეს ტერიტორია შედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, მაგრამ მას განკარგავს სახელმწიფო.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს ტერიტორია არ ეკუთვნის მუნიციპალიტეტს და არის სახელმწიფო ტერიტორია, ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ მივცეთ ნებართვა გარევაჭრობაზე. რადგან ნებართვას ვერ ვაძლევთ, ეს თავისთავად ნიშნავს აკრძალვას, – განაცხადა გიორგი კაპანაძემ. ამასთან, ქალაქის მერი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტი დღესვე მზადაა ტერიტორიაზე აიტანონ უკვე გამზადებული სავაჭრო დახლები და მიეცეს გარევაჭრობას უფრო ცივილიზებული სახე.

გარემოვაჭრეების ინფორმაციით, მცხეთის ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის დასატოვებლად 3-დღიანი ვადა მიეცათ. აღნიშნული ინფორმაცია გარემოვაჭრეებს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა აცნობა. გარემოვაჭრეები აცხადებენ, რომ ისინი ტერიტორიის დატოვებას არ აპირებენ და საპროტესტო აქციებს აანონსებენ.

ჯვრის მონასტრის წინამძღვარი: „ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობა არ უნდა იყოს“



ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, მამა კონსტანტინე ჭინჭარაული აცხადებს, რომ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის კატეგორიული წინააღმდეგია, იმ ფორმით და იმ სახით, როგორიც ხდებოდა ჯვრის მონასტრის წინ.

მისი თქმით, ტერიტორიაზე დიდი პროექტის მოწყობა იგეგმება, შესაბამისად, გარემოვაჭრეებს ტერიტორიის დატოვება მაინც მოუწევდათ.

– ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, არ უნდა ხდებოდეს გარევაჭრობა იმ ფორმით და იმ სახით, როგორიც ხდებოდა ჩვენი მონასტრის წინ. მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფონდი აპირებს, რომ იქ გაკეთდეს დიდი პროექტი, უნდა მოწესრიგდეს ტაძრის შიდა ეზო, ინფრასტრუქტურა, პარკირების საკითხი. ამ პროექტს იწყებენ სულ მალე და ამიტომ მაინც მოხდებოდა მათი გაყვანა, – განაცხადა მამა კონსტანტინე ჭინჭარაულმა.

შეგახსენებთ, ჯვრის მონასტერი 14 იანვარს ეკლესიის წინამძღვრის კონსტანტინე ჭინჭარაულის გადაწყვეტილებით დაიკეტა.

საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ინფორმაციით, ეკლესიის წინამძღვრის ქმედება გარემოვაჭრეების საქმიანობის მოწესრიგებისათვის გადადგმული ნაბიჯი იყო. ეკლესიის ჭიშკარი 16 იანვარს გაიხსნა.

იაგო ნაცვლიშვილი

უჩა ნანუაშვილი: „სასამართლო რეფორმა ვერ განხორციელდა. ამაზე წულუკიანის პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს“

„იუსტიციის სკოლაც ჩაკეტილი სისტემის ნაწილია. იქ მოხვედრის კრიტერიუმები ბუნდოვანია“

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებმა პარლამენტს მიმართეს, რომ მათი კანდიდატურები აღარ განიხილოს, რადგან, მათი აზრით, პროცესს არაჯანსაღი აჟიოტაჟი მოჰყვა, რაც სასამართლო ხელისუფლების უპრეცედენტო ზეწოლაში გადაიზარდა.

რატომ მივიდნენ მოსამართლეები ამ გადაწყვეტილებამდე, რას ფიქრობს სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე და როგორ შეიძლება, გაგრძელდეს პროცესი? ამის შესახებ „ახალი თაობა“ ყოფილ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს ესაუბრა:

– უზენაესის კანდიდატებმა პარლამენტისადმი მიმართვა გაავრცელეს, რომ შეწყდეს მათი განხილვა. რასთან გვაქვს საქმე? დათმო კლანმა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე?

– მე ვფიქრობ, რომ ეს ლოგიკურიც იყო. ეს მოულოდნელი არ ყოფილა. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში მოსამართლეთა ამ ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანია. წლების განმავლობაში არაერთი განცხადება თუ კონკრეტული ფაქტი იყო, რომელიც ამ მოსამართლეების ობიექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ეს იყო ლოგიკური და მოსალოდნელიც. წლების განმავლობაში ათობით და ასობით საქმე იყო, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოში იყო გაგზავნილი და სადაც ამ კონკრეტული მოსამართლეების მონაწილეობა იკვეთებოდა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმესი ამ სიიდან. ეს რეაქცია და ზოგადად ამ სიის მიმართ საზოგადოების საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება სავსებით ლოგიკურია. ასევე პროცესთან დაკავშირებით, როდესაც არავითარი კრიტერიუმებით არ მომხდარა სიის მომზადება. მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი წევრისგან დაფარულადაც მოხდა ამ სიის გაგზავნა პარლამენტში.

ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის იყო მიუღებელი, რაც ნათლად გამოიხატა, მათ შორის იმ მანიფესტით, რომელიც მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ეს იყო პასუხი იმ პროცესებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, უკვე არაერთი წელია, გრძელდება.

წლების წინაც ვაკრიტიკებდით ამ პროცესს, როდესაც მოსამართლეების დაწინაურება მიმდინარეობდა გაუმჭვირვალედ და ბუნდოვნად. გაუგებარი იყო, რის საფუძველზე აწინაურებდნენ ამ მოსამართლეებს. ასევე პრობლემა იყო ის, რომ არც ერთ ფაქტზე არ ხდებოდა დისციპლინარული წარმოება. როდესაც მოსამართლეების მხრიდან იკვეთებოდა რაიმე კონკრეტული დანაშაული, მაშინ ეს საბჭო ითვლებოდა იმ ორგანოდ, როდესაც ჯერ კიდევ მაშინ – ჩემი სახალხო დამცველობის პერიოდში არ ასრულებდა სახალხო დამცველის რეკომენდაციებს. მე ვფიქრობ, რომ ეს არ ყოფილა მოულოდნელი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. პირიქით, ვფიქრობ, რომ ყველაფერი ლოგიკურ შედეგამდე მიდის.

საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს პროცესებზე. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ძალები და პარლამენტიც პასუხისმგებელნი არიან იმ პროცესებზე, რომლებიც მიღებული იქნება. პარლამენტმა ისეთი პოზიცია უნდა დაიკავოს, რომელიც საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იქნება და არა რომელიმე ჯგუფის.

– თუმცა, ამ მოსამართლეების მიმართ წლების გვესმის კრიტიკა. სიის წარდგენის დროსაც მწვავედ დაიწყო კრიტიკა, მაგრამ რატომ დათმეს პოზიცია მაინცდამაინც ახლა? ხომ არ ფიქრობთ, რომ, შესაძლოა, რაღაც გარიგებასთან გვქონდეს საქმე?

– ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში გამოჩნდა ის, რომ მოსამართლეთა ეს ჯგუფი სარგებლობს ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით, რაც არ ჩანდა რამდენიმე თვის წინ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, იმავე მეთოდებით ემართა სისტემა, როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ხელისუფლება, რომელიც იყო მოსული დაპირებით, რომ მას უნდა მართლმსაჯულების რეფორმა და სხვა მნიშვნელოვანი რეფორმები, იმავეს აგრძელებს, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა.

– სწორედ აქედან გამომდინარე გეკითხებით, გარიგებასთან ხომ არ შეიძლება გვქონდეს საქმე?

– მე არაფერს გამოვრიცხავ. წლების განმავლობაში ამ პრობლემებზე ვსაუბრობდით და, არ გამოვრიცხავ, რაღაც გარკვეული შეთანხმება თუ გარიგება არსებობდეს. ამაზე ბევრი ის ადამიანიც საუბრობს, რომლებიც ღრმად არიან ჩახედული პროცესებში. მოსამართლეები საკუთარი ინიციატივებით არ გამოირჩევიან. მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური თამაშის მონაწილეები არიან. სამწუხარო ეს არის, რომ ამ სისტემის პოლიტიზების ნიშნები ჩნდება. თუ აქამდე კარგად არ ჩანდა, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა. ვფიქრობ, დღეს ნათლად გამოჩნდა ეს ყველაფერი.

– რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბრძოლა ბოლომდე მივიდეს და ისე არ მოხდეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, როცა რაღაცა შედეგი დამდგარა და შეწყვეტილი ბრძოლის გამო საბოლოოდ უარესი შედეგი მიგვიღია?

– მთავარია, საზოგადოებას ჰქონდეს მკვეთრი რეაქცია ასეთ შედეგებზე. რა თქმა უნდა, ჩვენ არა კონკრეტულ პიროვნებებზე, არამედ კრიტერიუმებსა და პროცედურებზე ვსაუბრობთ. გარკვეული წესები უნდა არსებობდეს, მოხდეს შეფასება და მის მიხედვით დაინიშნონ მოსამართლეები. 150 პოზიცია კვლავ ვაკანტურია სასამართლო სისტემაში. ეს წლებია გრძელდება. მე ვფიქრობ, საქართველოში არიან პროფესიონალები. უბრალოდ, მათ სჭირდებათ ხელშეწყობა და დახმარება. მათ შორის პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან – პარლამენტის მხრიდან, რათა მათ შეუქმნან იმის შესაძლებლობა, რომ მიიღონ მონაწილეობა, რომ პროცესი ღია იყოს, მათ შორის ახალი მოსამართლეებისთვისაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს, სამწუხაროდ, ეს სისტემა დახურული და ჩაკეტილია.

არსებობს იუსტიციის სკოლაც, რომელიც მოსამართლეებს ამზადებს, სადაც მოხვედრაც ბუნდოვანია. არ ვიცით, როგორ ხდება მონაწილეების შერჩევა. ეს პრობლემაა და ამას სისტემური გადაწყვეტა სჭირდება. ამისთვის მთავარი მაინც ის არის, რომ პოლიტიკური ნება იყოს ხელისუფლების მხრიდან. ეს აქამდე ვერ დავინახე.

– უზენაესის კანდიდატების განცხადებაში მწვავე რეაქციები სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევად არის შეფასებული.

– იგივე მესმოდა წლების განმავლობაში, როდესაც წლების განმავლობაში პრობლემებს ვაყენებდი, რაც სასამართლო სისტემაში იყო. მაშინ ამბობდნენ, რომ სახალხო დამცველი ერევა სასამართლო სისტემაში. თუმცა, სასამართლო სისტემაში მიმდინარე საკითხები ნამდვილად უნდა იყოს საზოგადოების ყურადღების ქვეშ და მე ვფიქრობ, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რეაქცია იქ მიმდინარე პროცესების შესახებ. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რეალური ინფორმაცია იქ მიმდინარე პროცესებზე, მოსაწონია ეს თუ არ არის, ამაზე რეაგირება უნდა ჰქონდეს. არ ვფიქრობ, რომ რომელიმე სისტემა ან უწყება იზოლირებული უნდა იყოს საზოგადოებისგან. პირიქით, რაც უფრო გახსნილია უწყება, მით უფრო კარგი და მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში ასეთი განცხადებები ჩემთვის გაუგებარია.

სისტემას სჭირდება რეფორმის ტალღები. პირველი, მეორე, მესამე ტალღა... იმისათვის, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს კონკრეტულ სისტემაში, ამაზე გარკვეული პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს იმ პოლიტიკოსებისა, რომლებსაც ევალებოდათ ამ სისტემაში გარკვეული ცვლილებების განხორციელება და რეფორმების ჩატარება და რომლებმაც ეს ვერ მოახერხეს.

– მათ შორის თეა წულუკიანსაც გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. თეა წულუკიანი ერთ-ერთი წამყვანი და ინიციატორია. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს იდეაში ამ რეფორმების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ დავინახეთ. როგორც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ისე პარლამენტმა ვერაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სისტემა გამოსწორებულიყო. პირიქით, ხელი შეუწყვეს ამ სისტემის დეგრადირებას.

– გვესმის კრიტერიუმებზე საუბარი. გგონიათ, რომ ეს არის მთავარი პრობლემა? ძალიან ბევრი მოლოდინი ხომ არ გვაქვს კრიტერიუმებთან დაკავშირებით?

– რეალურად დღეს ჩვენ არაფერი გვაქვს. გაუგებარია, რა სია მომზადდა და ვის მიერ. რატომ მაინცდამაინც ის 10 კანდიდატი და არა – სხვა. ამ კანდიდატების შემოწმების შესაძლებლობა მაინც უნდა არსებობდეს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ რაღაც მინიმალური სტანდარტები მაინც იყოს დაწესებული.

– ანუ გამოდის, რომ კრიტერიუმები ერთი ნაბიჯია და არა გადამწყვეტი?

– რა თქმა უნდა. კრიტერიუმები არ არის ყველაფერი, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნამდვილად არის. რატომ ვახსენე სკოლა, სადაც მოსამართლეების მომზადებაზე ვსაუბრობ? იმიტომ, რომ ეს სკოლა წლებია დახურულია და, სანამ არ გათავისუფლდება სკოლა, სადაც მოსამართლეები მზადდებიან, მე ვფიქრობ, მანამ ბევრი არაფერი შეიცვლება, ანუ, სანამ არ შეეწყობა ხელი ახალი მოსამართლეებისა და პროფესიონალი მოსამართლეების პრინციპულ მოსამართლეებად მომზადებასა და შემდეგ სისტემაში გამწესებას.

განათლების სისტემამ 300 მილიონი ქარს გაატანა

სიმონ ჯანაშია: „კრედიტქულების დაგროვებამ ვერ გაამართლა“

ლელა მდივანი

განათლების სისტემაში რეფორმები ისევ იცვლება. კერძოდ, უქმდება მასწავლებელთა კრედიტქულების დაგროვების სისტემა და პედაგოგები როგორც კვალიფიკაციის შესამოწმებლად და დასადასტურებლად, ისე სტატუსის მისაღებად საკვალიფიკაციო გამოცდას ჩააბარებენ.

თუ რატომ მიიღო განათლების მინისტრმა ეს გადაწყვეტილება, რას მოუტანს აღნიშნული ცვლილება განათლების სისტემას და რა პრობლემები არსებობს მასწავლებელთა გადანაწილების მხრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამ საკითხებზე გაზეთ „ახალ თაობასთან“ ექსპერტი განათლების საკითხებში სიმონ ჯანაშია საუბრობს.

– ბატონო სიმონ, რა იყო კრედიტქულების დაგროვების სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რის გამოც მინისტრმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო?

– მე მგონია, აქ ყველაზე მთავარი პრობლემა ის იყო, რომ თავის მიზნებს ვერ ასრულებდა. იმ მიზნებისკენ ვერ მიჰყავდა მასწავლებლები, რაც ჩაფიქრებული იყო. საუბარი იყო იმაზე, რომ ეს სისტემა წაახალისებდა მასწავლებლებს, თუმცა, ვხედავთ, რომ განვითარების ნაცვლად ადამიანები უფრო მეტ დროს უთმობდნენ ფორმალური ბარიერების გადალახვას.

უფრო მეტი ადამიანი დადიოდა ტრენინგზე, კონფერენციებზე და ა.შ., მაგრამ არანაირი თვისებრივი დაინტერესება ამას არ მოჰქონდა. მათი ინტერესი არა საკუთარი კომპეტენციის განვითარება იყო, არამედ სამსახურის შენარჩუნება ან ხელფასის მომატება.

ეს სისტემა იწვევდა კიდევ იმას, რომ სახელმწიფო რესურსები ძირითადად მოდიოდა შემოწმებაზე და არა – მხარდაჭერაზე. 60.000 მასწავლებლის მოქმედებების რეგულირებას, მათ აღრიცხვასა და გადამოწმებას სჭირდებოდა უამრავი ბიუროკრატია, რომელიც იჯდა და ან იმით იყო დაკავებული, რომ ითვლიდა საბუთებს წარსადგენად, ან ასწავლიდა მასწავლებლებს, ეს საბუთები როგორ წარედგინათ. ჯობს, ეს რესურსები დაიხარჯოს ახალი საგანმანათლებლო რესურსების შექმნაზე, მასწავლებლების სკოლის შიგნით წახალისებაზე და ასე შემდეგ.

– ის დრო, რომელიც ამ კრედიტქულების დაგროვების სისტემის შექმნაზე დაიხარჯა, ფუჭი იყო თუ ჰქონდა რაღაც დადებითი მხარეებიც?

– იმ სახსრების ფონზე, რომლებიც დაიხარჯა ამ სისტემისთვის, ის შედეგი, რომელსაც მიაღწიეს, არის კატასტროფული. როდესაც დაიწყო განათლების რეფორმა, მისთვის გამოიყო 100 მილიონი ლარი და ამ რეფორმამ შეცვალა სკოლების დაფინანსების სისტემა, ახალი სახელმძღვანელოები შემუშავდა, მასწავლებლებისთვის უამრავი ტრენინგი ჩატარდა და ასე შემდეგ.

ამ სისტემაში, მარტო მასწავლებლებისთვის ხელფასი რომ მომატებულიყო, დაიხარჯა დაახლოებით 300 მილიონი ლარი. ამ თანხით კი შეიძლებოდა გაცილებით კარგი რაღაცების გაკეთება.

მასწავლებლების ხელფასების მატება ამ კრედიტების დაგროვების ხარჯზე არც ბავშვებამდე აღწევს და არც გარემოს ცვლის მნიშვნელოვნად სკოლაში. მასწავლებელი, იმის მაგივრად, რომ გაკვეთილების მერე დარჩეს და ბავშვებს მიხედოს, ამეცადინოს და ა.შ., ზის და წერს ისეთ ანგარიშებს, რომლებიც მისთვის არანაირი სიკეთის მომტანი არ არის, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა იწერს სხვებისგან ან სხვებს აწერინებს.

– როგორი მოცემულობა გვექნება მას შემდეგ, რაც გაუქმდება ეს სისტემა, როგორ შეიძლება განისაზღვროს ხელფასების მატების საკითხი პედაგოგებისთვის?

– უკეთესია, სახელფასო კატეგორია იყოს დაყოფილი ისეთ კომპონენტებად, რომლებიც მასწავლებელს ავტომატურად ანიჭებს ხელფასის დონეს იმ კომპონენტების მიხედვით, რომლებიც დამოკიდებული იქნება მათ ფუნქციონირებასა და თანამდებობაზე.

დაფინანსების სისტემაც უნდა შეიცვალოს ამ სისტემის გაუქმებასთან ერთად. ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს განვითარების ფული და ეს ფული უნდა დაიხარჯოს იმ საქმიანობებზე, რომლებსაც საუკეთესო მასწავლებლები შეასრულებენ.

– ამ სისტემის გაუქმება განათლების სისტემისთვის შედეგს მოიტანს?

– კი, რა თქმა უნდა, მოიტანს. სულ რომ არაფერი გააკეთოს სახელმწიფომ და დააბრუნოს ის სისტემა, რომელიც მანამდე იყო, მაინც უკეთესი იქნება, რადგან გადაყრილი ფული იქნება ნაკლები.

სოსო ცინცაძე: „ერთადერთი გამოსავალი ივანიშვილის პრემიერად დაბრუნებაა“

„დღეს „ქართული ოცნება“, მიუხედავად იმ სიშტერეებისა, რომლებიც მისგან გვესმის, მაინც უკონკურენციაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და მინისტრთა კაბინეტში შესაძლო საკადრო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, საუბარია პრემიერ ბახტაძის გახარიათი ჩანაცვლებაზე, როგორც ამბობენ, ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღო ივანიშვილმა და ახლა ის მხოლოდ გარკვეულ მომენტს ელოდება.

– როდესაც სიტუაცია სტაგნაციაშია და პოლიტიკური პროცესი წინ ვერ მიდის ან საერთოდ ხელისუფლებას უჭირს, მაშინ ის ხშირად მიმართავს სწორედ საკადრო ცვლილებებს, საკადრო გადაადგილებებს. მსგავსი რამ ბევრჯერ მომხდარა და მომავალშიც მოხდება. აქ მთავარია, რა შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის და თავად მმართველი ძალისთვის ასეთი სამთავრობო ცვლილებები. მე ვფიქრობ, რომ არავითარი შედეგის მომტანი არ იქნება.

– რატომ?

– ახლა სწორედ ის დროა, რომ სასწრაფო წესით ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდეს პრემიერად. ახლა მთავარია ქვეყნისთვის, ივანიშვილი რეალურ ხელისუფლებაში დაბრუნდეს და პასუხისმგებლობა აიღოს. რეალურად ისედაც მართავს ქვეყანას, მე ოფიციალურ დაბრუნებაზე ვსაუბრობ.

რაც უნდა მოხდეს, ეს მას ეხება თუ არ ეხება, მაინც ყველა მას სთხოვს პასუხს და თითს ივანიშვილისკენ იშვერს. თუ უფრო გამართული იქნება სახელისუფლო ვერტიკალი, უფრო გამართული იქნება არსებული პოლიტიკური ვითარებაც.

გასაგებია, რომ მას არ უყვარს პოლიტიკა. ეს არც დანაშაულია და არც – ნაკლი, მაგრამ საუბარია ქვეყანაზე.

– გახარიას რომ დავუბრუნდეთ.

– თუ გახარია გახდება პრემიერი და ალბათ გახდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ ის თავის გარემოცვას მოიყვანს მინისტრთა კაბინეტში. ისე არ იქნება, როგორც ბახტაძის შემთხვევაში. ბახტაძე რომ თავისთვის იყო, დილით მივიდოდა სამსახურში და საღამოს სახლში წავიდოდა.

– თქვენ ამბობთ, როგორც კვირიკაშვილს ჰყავდა თავისი გუნდი?

– დიახ. თუმცა, გახარია ბევრად უფრო ჭკვიანია და ისე არ გააკეთებს, რომ მისი გუნდი ბიძინა ივანიშვილში კითხვის ნიშნებს იწვევდეს და ეჭვიანობის საბაბი მისცეს.

– გახარიას გაპრემიერება რაში სჭირდება ივანიშვილს? გახარია ბახტაძეზე ძლიერი ფიგურაა და გამორიცხავთ, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყოს?

– რასაკვირველია, ამას სრულიად გამოვრიცხავ. დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს ვერც ერთი მათგანი ვერ დაიწყებს, ვინც ივანიშვილის ფრთის ქვეშ არის. მით უფრო, ამას არ გააკეთებს გახარია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჭკვიანია, ჭკვიანია თუნდაც სხვებთან შედარებით. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას არც კვირიკაშვილი გააკეთებს მიუხედავად იმისა, რომ მას შეიძლება გარკვეული საბაბი ჰქონდეს ივანიშვილზე გაბრაზების, ბოლოს და ბოლოს, სულ რომ არაფერი, მოხსნა.

– და ეს ცვლილება რას მოუტანს თუნდაც ივანიშვილს, მის გუნდს?

– ეს ცვლილება, ჯერ ერთი, არის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დადებული პირობა. მეორე – ცვლილება ყველა შემთხვევაში საჭიროა, მაგრამ აქ მაინც მთავარია, რომ ამ ცვლილებით მაინც არაფერი შეიცვლება.

ახლა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა თავად ივანიშვილის დაბრუნება პრემიერის პოსტზე. ეს იქნებოდა სწორი მესიჯი ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც და ეს ბევრად უფრო დაალაგებდა ვითარებასაც, თუნდაც ვერტიკალში.

სამთავრობო ცვლილებები ადამიანებს ცოტა ხნით მისცემს იმედს, იქნებ რამე შეიცვალოს უკეთესობისკენ, მაგრამ მალევე მიხვდებიან, საკუთარ მაცივარს რომ გამოაღებენ, რომ არაფერიც არ იცვლება. ეს მორიგი იმედგაცრუება იქნება. პოლიტიკის ცვლილებაა საჭირო, სასწრაფო ნაბიჯებია გადასადგმელი, თორემ ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“.

– შეიძლება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგება გაუჭირდეს?

– არა, არსებული ვითარებით არაფერი გაუჭირდება. დღეს „ქართული ოცნება“, მიუხედავად იმ სიშტერეებისა, რაც მისგან გვესმის, მაინც უკონკურენციაა. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, რა იქნება 2020 წლის შემოდგომისთვის.

თვითონ პრემიერის შეცვლა არაფრის მომცემია. გახარია იქნება თუ პეტრიაშვილი, რა მნიშვნელობაა. ცვლილებები რეალური უნდა იყოს და ემსახურებოდეს არა პირად სიმპათიებსა და ერთგულებას, არამედ პროფესიონალიზმს.

მე არ მესმის, რა საჭირო იყო მოსკოვიდან ეკონომიკის მინისტრის ჩამოყვანა, როდესაც აქაც შეიძლებოდა უკეთესი კადრის მოძებნა. მინისტრი გვეუბნება, მაძღარი ხარ, მხოლოდ გრძნობა გაქვს, რომ გშიაო. მაშინ რა გამოდის – მთელი ქვეყანა ბულემიითაა დაავადებული. ჭამ, ჭამ და ვერ გრძნობ, რომ მაძღარი ხარ. ლუდოვიკო მე-14-ს სჭირდა ეს დაავადება.

საქართველოში საკადრო სელექციის ძირითადი პრინციპი არის დარღვეული. ეს ასე იყო ჯერ კიდევ ზვიადის დროს, შემდეგ უკვე შევარდნაძის დროს, მიშას დროს და ახლაც ასეა. მთავარი არის პირადი ერთგულება და არა – პროფესიონალიზმი.

– ეკონომიკის მინისტრი ქობულია სწორედ პროფესიონალიზმის ნიშნით ჩამოიყვანეს. მას ბევრად მეტი ხელფასი ჰქონდა, ვიდრე ჩინოვნიკის ხელფასია და მასზე თქვა უარი, როგორც თავად ამბობს.

– მითხარით ერთი პროექტი, რომელიც მას ეკუთვნის და რომელმაც გაამართლა და ამ პროექტმა დიდი ინვესტიცია მოუტანა ქვეყანას. ვერ მეტყვით, რადგან ასეთი პროექტი ბუნებაში არ არსებობს.

რაში გამოიხატება მისი პროფესიონალიზმი?! გასაგებია, რომ გაუნათლებელი არ არის და ერთი-ორი ეკონომიკის თეორიის შესახებ წარმოდგენა ექნება. მე ვამბობ, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი რა პროექტებს ახორციელებს, გიბარებთ თქვენ, ჟურნალისტებს, გაცნობთ ამ ახალი იდეებისა და ეკონომიკური ინოვაციების შესახებ?! მერე თქვენ ხალხს უყვებით ამის შესახებ, წერთ ამაზე?! მე ეს მაინტერესებს და არა ის, რომ მას მოსკოვში ბევრად უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდა და მინისტრის სკამში გაცვალა. თუმცა, რას ვერჩი ეკონომიკის მინისტრს, რა სხვა მინისტრები უკეთესები არიან, უფრო მეტი გააკეთეს თუ რა?!

აბსოლუტურად იგივე შემიძლია ვთქვა პარლამენტზე! იმ უმრავლესობაზე, რომელიც დღეს ხალხის სახელით არის პარლამენტში წამოსკუპებული.

რამდენი მოწვევის პარლამენტი მინახავს, ვინ მოთვლის, მაგრამ არც ერთი პარლამენტი არ ყოფილა ასეთი უწიგნური, ასეთი გაუნათლებელი და ასეთი უინტერესო. რამდენი დეპუტატი იცით, რომელიც საერთოდ არ მისულა ტრიბუნასთან?! არადა, დეპუტატის პირდაპირი მოვალეობა არის, ხალხის ხმა იყოს უმაღლეს დონეზე, იმ ტრიბუნიდან გაახმოვანოს ის, რასაც მისი ამომრჩეველი ფიქრობს, რასაც ხალხი ითხოვს.

წინა მოწვევის პარლამენტშიც იყვნენ გაუნათლებლები, სრულიად უინტერესო, შემთხვევითი ხალხი, მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ. მართლა პოლიტიკოსებისა და უაღრესად განათლებული პარლამენტის წევრების გვერდით ისინი არც კი ჩანდნენ.

ახლა რა ხდება, ვერ ნახავ ვერც ერთ დეპუტატს, რომლის გამოსვლაც, რომლის სიტყვაც დაგაინტერესებს და რომელსაც თავიდან ბოლომდე მოუსმენ. ასეთი ხალხისგან რა საკანონმდებლო წინადადებები და იდეები უნდა წამოვიდეს, არ ვიცი.

სწორედ ამ ხალხისგან უნდა განთავისუფლდეს, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი.

მარიამ მჭედლიშვილი

„ბესელიამ კვირიკაშვილის ჯგუფს დაასწრო“

მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლების გადაბარების ახალი გეგმა ამოქმედდა“

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ძვრებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

– ადრე „ახალ თაობას“ გააცანით ძალაუფლების გადაბარების ვარიანტები, რომლებიც უზრუნველყოფდა რუსეთის გავლენის შენარჩუნებას საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ეს გეგმები ვერ შესრულდა. რა ხდება ახლა, როცა პოლიტიკაში მთავარ თემებად „ქართული ოცნების“ შიგნით დაწყებული მოძრაობა გახდა?

– კრემლში შემუშავებული სქემებით, „ქართული ოცნების“ გასვლა არენიდან უმტკივნეულოდ და რუსეთის ინტერესების შესაბამისად უნდა მოხდეს. თავდაპირველად უნდოდათ ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება. პროცესის გასამარტივებლად ნაცმოძრაობიდან გამოყვეს „ევროპული საქართველო“. მოგვიანებით იყო გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტად გაყვანის და სალომე ზურაბიშვილის ჩაძირვის სქემა. ამ კუთხით გაწეული შრომა უნაყოფო აღმოჩნდა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-მ.

ვაშინგტონისთვის სალომე ზურაბიშვილის ფიგურა მისაღები გახდა ერთადერთი მიზეზით – ის არ არის რუსეთის მიერ შერჩეული და მას კავშირი არ აქვს რუსეთის სპეცსამსახურებთან. ამ სქემებს ხორცი ვერ შეესხა, რის შემდეგაც რუსეთმა ზეწოლა მოახდინა ბიძინა ივანიშვილზე.

– დავიდარაბა მართლმსაჯულების პრობლემების გამო და პარლამენტში მომხდარი ხმაურიანი პროცესები ამ ახალი სქემის შესავალია?

– ამ გეგმით, ყველაფერი ძალიან დამაჯერებელი უნდა იყოს. ეკა ბესელიას გადადგომას იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციიდან არ აკლდა დამაჯერებლობა.

– ახლა რომ მოსამართლეობის კანდიდატებმა თავიანთ თავს აცილება მისცეს. ამით რაიმე იცვლება?

– ეს პოლიტიკური მოვლენებია და არა – სამართლებრივი. არსებული იუსტიციის საბჭო, სახელგატეხილი მოსამართლეები აქამდე აუმღვრევლად აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას და არავის აუტეხია განგაში, სააკაშვილის ნების გამტარებლები რატომ გვყავს სასამართლო სისტემაშიო. სააკაშვილს ჰქონდა ასეთი დირექტივა – სასამართლოში ყველა კომპრომეტირებული უნდა ყოფილიყო.

– გავრცელებული მითქმა-მოთქმით, ეკა ბესელია ჩარეული იყო ზაზა ოქუაშვილის ბიზნესის დაცვაში.

– ეს ისეთივე კომიკური ზღაპარია, როგორც მისი ამბოხი სასამართლოს საკითხზე. ეს პროპაგანდისტული ნაბიჯია, ისევე, როგორც ჭორები იმის შესახებ, რომ ბესელიას ან მამუკა ხაზარაძეს იჭერენ.

– ამ ჭორებს საგანგებოდ ავრცელებენ?

– ეს საქმეს სჭირდება. ოქუაშვილის თამბაქოს ბიზნესი, სინამდვილეში, იგორ გიორგაძისაა. უშიშროების ყოფილი შეფი ამჟამად პუტინთან დაახლოებული კაცია, რომელიც უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში.

გიორგაძეს და მის ბიზნესს ბესელიას დასაცავი რა სჭირს! „პატრიოტთა ალიანსში“ ოქუაშვილისა და მისი მეუღლის მისვლა იგორ გიორგაძის გაჩარხულია. ისიც მან მოაგვარა, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს „ალიანსს“ 150.000 ხმა დაუმატეს, რათა პარლამენტში მოხვედრილიყო. პუტინის თანაშემწე სურკოვი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ გიორგაძემ თავისი გაიტანა. სურკოვს ესმოდა, რომ ეს მყვირალა უკანონობა ძალიან ცუდად აღიქმებოდა დასავლეთში. ასეც მოხდა. საერთოდ, დასავლეთის ექსპერტულ წრეებში საქართველოს „ფსბ“-ს რესპუბლიკას უწოდებენ.

– რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან პროცესების მართვის გამო?

– ბუნებრივია. ამიტომ, საქართველოში ბესელიას ან ხაზარაძეს დაიჭერენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კრემლს დააზიანებენ და რუსეთისგან დამოუკიდებელ თამაშს წამოიწყებენ. სხვა მიზეზით მათ, ასევე ქუმსიშვილსა და სხვებს, ხელს არავინ ახლებს.

– ყველაფერი ემსახურება ხელისუფლების გადაბარების ახალ გეგმას?

– რასაკვირველია. ეს პროპაგანდისა და სიმართლის გადაფარვისთვის კეთდება. მოფიქრებულია მორიგი სქემა. ახალი გეგმით, საპარლამენტო უმრავლესობა იშლება. ჯერ უნდა დაირღვეს საკონსტიტუციო ერთიანობა, შემდეგ – დანაწევრდეს დარჩენილი უმრავლესობა.

– მარტო ერთი ახალი, ვითომ მეამბოხე ფრაქციის შექმნით ეს შესაძლებელია?

– ჯერ საუბარია ერთი ჯგუფის გამოყოფაზე. ეკა ბესელიამ სხვა ჯგუფს დაასწრო და პირველი, ალბათ, ბესელია და მისი გარემოცვა იქნება.

– რომელ ჯგუფს დაასწრო ბესელიამ და კიდევ რა არის მოსალოდნელი?

– ბესელიამ დაასწრო კვირიკაშვილის ჯგუფს.

– ასეთი ჯგუფი არსებობს?

– კვირიკაშვილმა 2016 წელს პარლამენტში თავისი ხალხიც შეიყვანა. გეგმის თანახმად, მათ ამ პროცესებში თავისი როლი უნდა შეასრულონ. აქ გადამწყვეტი სიტყვა დავით ჭიჭინაძეს არ ეკუთვნის. თუ საჭირო გახდა, უმრავლესობას მესამე ჯგუფიც გამოეყოფა. ამჟამად მესამე ჯგუფზე მეტს ვერ ვიტყვი.

– ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი ისაა, რომ მომავალ პარლამენტში არ მოხვდნენ ის ძალები, ვისაც კრემლი ვერ აკონტროლებს?

– ეს თავისთავად. ამ პარლამენტის გადაფორმატების შემდეგ ჯერი მთავრობაზე მიდგება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, რომ არ დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიმდინარე მოვლენები პარლამენტის გადაჯგუფებებს მიება.

– ხალხი ამ ყველაფერს დაიჯერებს? ბევრს ეჭვი ეპარება, რომ პარლამენტში დაწყებული პროცესების მიზანი მართლა ნორმალური მართლმსაჯულება და სამართლიანი სასამართლოა.

– ყველაფერი კეთდება ვაშინგტონის დასანახად.

– ამ დადგმებს საგარეო დანიშნულება აქვს?

– ამ ეტაპზე ასეა. სომხეთში მომხდარ მშვიდობიან რევოლუციამდე მოსკოვი ვაშინგტონს ევაჭრებოდა, რომ თუ სომხეთის პოლიტიკურ სისტემას ჩამოაშორებდნენ, ქვეყნის ეკონომიკა მაინც რუსების ხელში დარჩენილიყო. მოხდა ისე, რომ ნიკოლ პაშინიანმა ბოლო მოუღო რუსეთის ბატონობას სომხეთის ეკონომიკაშიც და დაიჭირა ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებიც რუსეთის ბიზნესში იყვნენ ჩართული.

– რუსეთს საქართველოს ეკონომიკაშიც უნდა ბერკეტებისა და წილების შენარჩუნება?

– რასაკვირველია. რუსეთი, ბუნებრივია, კულისებში, აშშ-საგან 8-დან 10 მილიარდ დოლარამდე თანხას ითხოვს.

– იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკიდან და ეკონომიკიდან გავიდეს?

– ცხადია. ამაზე რა პასუხია, არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელები რუსებს ამ ახალ სქემებში არ აჰყვებიან. ძალაუფლების გადაბარების მორიგი გეგმა ჩაიფუშება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფლანგზე ეს კრემლის ბოლო გაფართხალებაა.

– რატომ ხართ ამაში დარწმუნებული?

– რეგიონში მიმდინარე ძვრების გამო. ბოლო დროს თურქეთი, ირანი და რუსეთი ერთ ალიანსში იყვნენ გაერთიანებული.

– ეს ალიანსი ჯერ არ დაშლილა.

– არ დაშლილა, მაგრამ ფაქტობრივად იშლება. თურქეთი პრაქტიკულად აღარ მოიაზრება რუსეთის მოკავშირედ. მალე მას შეუერთდება ირანი.

– ირანთან აშშ-ს დიდი კონფლიქტი აქვს.

– ვაშინგტონსა და თეირანს შორის აქტიური კულუარული მოლაპარაკებებია. იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო ახალი, დამატებითი სანქციები ირანის წინააღმდეგ. ეს არ მომხდარა. თუ ირანი რუსეთს განუდგება, ეს კრემლს ძალიან დაასუსტებს. მას გაუჭირდება აქტიურობა საქართველოში.

მთავრობამ ცხინვალის მოსახლეობასაც მიაქციოს ყურადღება!

გურამ ვახტანგაშვილი: „ნეტა, ყველა ცხინვალელმა აიღოს საქართველოს მოქალაქეობა“

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი „ახალ თაობას“ ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებაზე ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ხომ არ იცით, რა ვითარებაა ცხინვალის რეგიონში? გახმოვანდა, რომ ჰუმანიტარული პრობლემებია, რადგან როკის გვირაბი ჩაიკეტა და რუსეთის მხრიდან ვერაფერი შემოაქვთ.

– როკის გვირაბი სამი დღე დაკეტილია დიდთოვლობის გამო. შიმშილისა და სხვა პრობლემების თაობაზე არაფერი გამიგია.

– ხელისუფლებას მოუწოდეს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ჰუმანიტარული ტვირთი შეუტანონ მოსახლეობას.

– ჰუმანიტარულ ტვირთს ისინი არ მიიღებენ, ისეთი მდგომარეობა არ არის, ჰუმანიტარული ტვირთი სჭირდებოდეს. ორი დღეა, რაც გზა ჩაიკეტა. როცა რაიმე პრობლემაა, ცხინვალიდან ჩემი მეგობრები მიკავშირდებიან და მეუბნებიან. არა მგონია, იქ მსგავსი პრობლემები იყოს.

– საერთოდ, როგორი სიტუაციაა ხოლმე ამ დროს ცხინვალის რეგიონში? როგორ ცხოვრობენ იქ ადამიანები ზამთარში? იქ, სადაც დიდი თოვლი იცის, ოჯახები მთელი ზამთრის თუ არა, ერთი თვის პროდუქტს იმარაგებენ ხოლმე.

– ჩვეულებრივ, აქაც იმარაგებენ ხოლმე ზამთრის საკვებს. ღორებს კლავენ, ხორცი აქვთ, ფქვილს და ყველაფერს იმარაგებენ. შეიძლება, არ ჰქონდეს მომარაგებული ქალაქ ცხინვალს. დანარჩენ ადგილებში – სოფლებში საზამთროდ პროდუქტს ყოველთვის იმარაგებენ. მით უმეტეს, ახლა გზა გაიხსნა. ჯავის ზემოდან როკისკენ იყო გზა ჩაკეტილი.

– აბა, გზა საიდან გახსნეს?

– ჩრდილოეთიდან გახსნეს, რუსულ არხზე მოვისმინე. რუსებმა აჩვენეს, რომ ტექნიკა მუშაობდა. ჩემ დროსაც იყო პრობლემები, როცა მე ცხინვალში ვმუშაობდი. როკის იქით უფრო ჩრდილო ოსეთის მხარეს უფრო რთული ადგილებია, რთული გზაა, ვიდრე ჩვენ მხარეს. როგორც ზარბაზნები, ისეთი ტექნიკა აყენია და ზვავს სპეციალურად ყრიან ხოლმე, შემდეგ გაწმენდის დროს რომ არ ჩამოვიდეს და ქვეშ არ მოიყოლოს. ახლა იქით ტრაქტორები მუშაობენ და გზას წმენდენ.

– კონკრეტულად, როკის გვირაბი გახსნილია?

– გვირაბი გახსნილია, მშვენივრადაა. ჩვენი გვირაბი რომ გაკეთდა რიკოთზე, ისე როკის გვირაბიც გაარემონტეს ორი წლის წინ.

– თქვენ თქვით, ქალაქ ცხინვალში პროდუქტს არ იმარაგებენო. შესაძლებელია, ცხინვალში აქვთ პრობლემები?

– ცხინვალში პრობლემები არ ექნებათ. რა უნდა ცხინვალის საკვებით მომარაგებას. ერთი ვერტმფრენით ჩაუტანენ და საკმარისი იქნება. საქმე არ აქვთ, თორემ... მით უმეტეს, რაც ცხინვალში მოქალაქე ცხოვრობს, იმდენი რუსი ჯარისკაცია. რუსი თავის ჯარს მშიერს ხომ არ დატოვებს?

– რამდენი კაცი ცხოვრობს ქალაქ ცხინვალში?

– მაქსიმუმ 20-25 ათასი. მაგის ნახევარი ჯარისკაცია ავტობანის გაყოლებაზე, ე.წ. საზღვრის გასწვრივ.

– როდესაც ერგნეთის ბაზარი იყო, მაშინ მთელი ზამთრის განმავლობაში ხომ გადმოდიოდა მოსახლეობა საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად მაინც?

– ერგნეთის ბაზრობიდან ცხინვალამდე იყო კილომეტრ-ნახევარი, ორი კილომეტრი. ფეხითაც ამოდიოდნენ ბაზრობაზე. მე რომ ცხინვალში ვიყავი, ყოველდღე ვმუშაობდი გზაზე. ზვავები ჩამოდიოდა და ერთი-ორი დღით იკეტებოდა როკის გზა. დანარჩენი ჩვეულებრივად ისე იყო, როგორც აქეთ, გუდაური-კობის სამხედრო გზაზეა. ახლაც ჩაკეტილია ხოლმე 2-3-5 დღე. ზვავსაშიშროების გამო ტექნიკას არ უშვებენ გასაწმენდად, ზვავში რომ არ მოყვეს. ზვავსაშიშროება რომ მოიხსნება, ტექნიკას შეუშვებენ და გაწმენდენ. ჩემი აზრით, არავითარი პრობლემა არ არის.

– ისე, ჰუმანიტარული ტვირთის შეტანაზე რომ დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობამ, უარს იტყვიან?

– უარს იტყვიან. იტყვიან, არ გვიჭირს, თქვენზე არ ვართ დამოკიდებულიო, ხომ იცით, კავკასიური ხასიათის, სიამაყის გამო, მაგრამ, მე მგონი, არ დასჭირდებათ. რაღაც პრობლემა რომ ყოფილიყო, ჩენი ცხინვალელი ძმაკაცები, მეგობრები დამირეკავდნენ. ტელეფონზე ისინი მირეკავენ ხოლმე. მოსმენების გამო მე ვერ ვურეკავ, ისინი მირეკავენ და დამირეკავდნენ.

– ჩემი ცხინვალელი ძმაკაცები თვითონ მირეკავენო, რომ ამბობთ, იქ არ უსმენენ?

– არ ვიცი, ისინი მირეკავენ. მე, მაგალითად, ვერ დავურეკავ. ისინი, როცა უნდათ, მაშინ მირეკავენ. რაღაც პრობლემა რომ იყოს, ცხინვალში წითელი ჯვრის ორგანიზაციაა, ვინმე ავად თუ გახდა და ოპერაცია სჭირდება, კავშირებზე გამოდიან და ოპერაციებს უკეთებენ, ყველას ეხმარებიან.

– ასევე ჰუმანიტარული მისიით მედიკამენტების შეტანის საჭიროებაზეც იყო საუბარი.

– კი ბატონო, შეიძლება, ჩვენმა მთავრობამ კეთილი ნება გამოიჩინოს და შეიტანოს მედიკამენტები იქნება თუ სხვა რამ. იმ ადამიანებს ხომ მაინც ჩვენად ვთვლით. გრიპია თუ სხვა დაავადება, აქეთ რომ უფასოდ აძლევს, კეთილი ნება გამოიჩინოს და იქითაც გაუგზავნოს. შეიძლება, მთავრობამ განცხადება გააკეთოს, წითელი ჯვრის საშუალებით შემოვიტანთო. კარგი ჟესტი იქნება, როგორც ჩვენს მოქალაქეებს რომ გავუგზავნოთ.

სერგეენკო ხომ გამოდის და აცხადებს, რომ ვისაც წამალი სჭირდება, მივიდნენ და აიღონ ან ინექცია გაიკეთონ. შეიძლება, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვისაც რომ გამოიყოს მედიკამენტები და სხვა საშუალებები, მთავრობამ განაცხადოს, რომ მზად არის იქაური მოსახლეობის დასახმარებლად.

– თქვენი მეგობრები, ძმაკაცები რისთვის გირეკავენ ხოლმე?

– რას შვრებით, როგორ ხართო, მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთის ჯანმრთელობას. ძალიან უნდათ, ერგნეთის ბაზარი აღდგეს და გზა გაიხსნას. კი შემოდიან ჩვეულებრივად, სადგურზე რომ გახვიდე, ოსური მანქანებით სავსეა, მაგრამ თბილისიდან ცხინვალამდე პირდაპირ თუ წახვალ, ერთი საათი უნდა, შემოვლითი გზით კი მთელი დღე და წვალობენ. ამიტომ უნდათ, აქედან გაიხსნას გზა და შემოვლითი გზებით არ უხდებოდეთ სიარული.

– საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს გეგმავდნენ კვებისა თუ სხვა ობიექტების, რაღაც საწარმოების (მგონი, ერთობლივ საწარმოებზეც იყოს საუბარი) გაკეთებას. ხომ არ იცით, როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამ გადაწყვეტილებას ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაში? ამ მხრივ რაიმე გაკეთდა?

– ქართულ სოფლებში ყველაფერი კეთდება, წყალი და სხვა. ისეთი რამ, რაც, ვთქვათ, განმუხურში გაკეთდა, ცხინვალის მხარეში არ გაკეთებულა. თუ რუსეთის ნება იქნება, ერთ დღეში გაკეთდება. სანამ რუსები არ დართავენ ნებას, ისე არაფერი გაკეთდება.

– ლარსის გზით ადვილად გადმოდიან, პრობლემები არ ექმნებათ?

– მათ აქვთ რუსული პასპორტები, რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული. ჩვენ სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გვაქვს გაუქმებული და ჩვეულებრივად შემოდიან. ერთადერთი, დიდი თანხა ეხარჯებათ. სანამ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოივლიან და აქ ჩამოვლენ, 400 კილომეტრი უნდა გაიარონ, მაშინ როცა პირდაპირი გზით 100 კილომეტრია.

– ორი დღის წინ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიიღეს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის მოქალაქეობის დადგენის პირობები გაამარტივონ.

– ოკუპირებული ტერიტორიებიდან ახალგაზრდებს საზღვარგარეთ სწავლა უნდათ. ამიტომ ბევრს უნდა, აიღოს საქართველოს პასპორტი ჩუმად და საქართველოს მოქალაქეობას იღებენ. არ უნდათ, ვინმემ გაიგოს, რომ მათ საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს.

– ხელისუფლების ეს მიდგომა დადებით შედეგს გამოიღებს?

– მეც ვიცი, რომ ჩვენს მოქალაქეობას იღებენ და საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. ამას ერთმანეთს უმალავენ. ომმა და უბედურებამ დადებითი შედეგი ვერ მოიტანა. ყველაფერი უნდა ვცადოთ. თუ რამდენიმე ათეული ან ასეული ცხინვალელი ბავშვი აიღებს საქართველოს პასპორტს, წავა საზღვარგარეთ და იქ განათლებას მიიღებს, მორალურად და თავისი შეხედულებებით სულ სხვანაირი იქნება, სულ სხვანაირი აზროვნება და დამოკიდებულება ექნება. სულ სეპარატისტული რეჟიმი ხომ არ იქნება და ეს ტერიტორია სულ ჩაკეტილი ხომ არ იქნება. ნეტა, ყველა ცხინვალელმა აიღოს საქართველოს მოქალაქეობა. დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვლება.

„კალაძე ტაქსების დისპეტჩერად და მეკუბოვედ გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

კახა კალაძე თბილისის გაოცებას წარმატებით აგრძელებს. იმ დროს, როცა თბილისში გაზის გაჟონვითა თუ აფეთქებით ლამის ყოველდღე იღუპებიან ადამიანები, ამბობს, რომ გაზგაყვანილობის კონტროლი მერიის კომპეტენცია არ არის. არადა, იგივე კალაძე ძალიან აქტიურად განიხილავდა თემას, თუ რა ფერის ტაქსები უნდა დადიოდნენ თბილისში.

დედაქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი კი ამბობს, რომ გაზგაყვანილობის კონტროლი სწორედ მერიის საქმეა.

რატომ აღარ არის კალაძე თბილისის მერი, სად ჰგონია მას თავი, რაში სჭირდება 20.000 ლარის „ვენოკები“ მერიას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

– თბილისის მერმა განაცხადა, რომ გაზგაყვანილობის უსაფრთხოების შემოწმება მათ კომპეტენციაში არ შედის. თქვენ, როგორც ცნობილი მეროლოგი, რას გვეტყვით, ეხება ეს საქმე მერიას?

– რატომ გაგიკვირდათ მისი ეს განცხადება? თბილისის მერი გვეუბნება, რომ ამ ქალაქში მას არაფერი ეხება. სამაგიეროდ, აქტიურად ერევა იმაში, თუ რა ფერის ტაქსებმა უნდა იაროს.

თავის კომპეტენციად ჩათვალა ისიც, თუ რა სიმღერები უნდა იმღერონ ქუჩის მუსიკოსებმა. ამ მხრივ რაღაც რეგულაციებზეც კი ფიქრობდა ეს კაცი. თავი ისევ „მილანში“ ჰგონია და აშკარად დიდი პრობლემები აქვს.

რაც შეეხება იმას, რომ გაზთან დაკავშირებით მას არაფერი ეხება, უკაცრავად, მაგრამ ის „ყაზტრანსგაზის“ არაფორმალური დირექტორი და, ამავე დროს, თბილისის მერია.

თბილისის მოსახლეობას, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს, რა დამოკიდებულება ჰქონდა წინა ხელისუფლების დროს ამ საკითხის მიმართ თბილისის მერიას.

გიგი უგულავას მერობის დროს, როგორც კი ზამთრის სეზონი მოახლოვდებოდა, ყველა თვითმმართველობა ჩართული იყო ამ კამპანიაში. დედაქალაქის მერიაში ცხელი ხაზიც კი მუშაობდა გაზგაყვანილობის მოწყობილობების შემოწმებასთან დაკავშირებით.

არც მაშინ ეხებოდა დედაქალაქის მერიას გაზის მილების შემოწმება, მაგრამ, რადგან პასუხისმგებლობას გრძნობდნენ თბილისელების მიმართ, გაზგაყვანილობის უსაფრთხოებასაც ამოწმებდნენ.

ლევან ხაბეიშვილი: „რას წარმოვიდგენდი, თუ თბილისელებს ნარმანია სანატრელი გაგვიხდებოდა“

გაზგაყვანილობის მილების წესრიგზე ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. როდიდან არის, რომ ქალაქის მერს ქალაქის მოსახლეობის სიცოცხლე არ უნდა აინტერესებდეს?!

იმაზე არაფერს ვამბობ, ყაზტრანსგაზის არაფორმალური დირექტორი რომ არის და ყველა უბედურება მის კომპანიას რომ უკავშირდება.

თავის დროზე ნარმანიას რომ ეთქვა, ყველა უბედური შემთხვევა, რომლებიც გაზთან დაკავშირებით მოხდა, ყაზტრანსგაზის ბრალიაო, კიდევ გავიგებდი. კალაძისგან ამის თქმა ცოტა უცნაურია. უცნაურია იმიტომ, რომ ამ კომპანიაში თავად ნიშნავს მენეჯმენტს, თავად გვყვლეფს მათი ხელით.

კაცი ამბობს, თბილისში არაფერი მეხებაო და ამასობაში თბილისელებისთვის წინასწარ ყიდულობს კუბოებს.

– კუბოების წინმსწრებად შეძენა დავით ნარმანიამ დაამკვიდრა.

– ნარმანიამ მოიგონა ეგ ამბავი. მისგან განსხვავებით, მოქმედმა მერმა დაგვინდო და უფრო ნაკლები რაოდენობის კუბოები შეუკვეთა. ეს ნიშნავს, რომ უფრო ნაკლები ადამიანის დამარხვას აპირებს.

კუბოების წინასწარ შეძენაზე გავრცელებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთმა დაწერა, სოციალურად დაუცველ ადამიანებსაც ხომ სჭირდებათ დამარხვაო. დამარხვა ყველა მიცვალებულს სჭირდება, მაგრამ წინასწარ კუბოს ვინ ყიდულობს.

მერიას შეუძლია, კუბოების პრობლემა მას შემდეგ მოაგვაროს, როცა ადამიანი გარდაიცვლება. ადამიანი რომ გარდაიცვლება, ეს არის ფორსმაჟორი, ესენი კიდევ, როცა მოსწყურდებათ, კოკა-კოლასაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში ყიდულობენ.

დედაქალაქის მერია წინასწარ კი არ უნდა ყიდულობდეს კუბოებს, არამედ უნდა ეცადოს, რაც შეეძლება ნაკლები ადამიანი მოკვდეს, მათ შორის შიმშილისგან.

მილიონობით ლარი ხომ გამოყვეს ამ კუბოებისთვის, ესეც არ იკმარეს და დამატებით 20.000 ლარის ვენოკი და ყვავილები შეუკვეთეს ბიუჯეტის ხარჯზე.

მსგავს რამეზე, შეიძლება, ხმა არ ამომეღო, რადგანაც გვირგვინების მიტანა ზოგჯერ აუცილებელია, თუნდაც გმირთა მემორიალთან. კალაძე ვალდებული არ არის, თავისი ფულით იყიდოს გვირგვინი.

– თავისი ფულით რომ იყიდოს, და შავდება რამე?

– არაფერი არ დაშავდება. თბილისის მერს 20-ლარიანი გვირგვინის შეძენა არ დააზარალებს, მაგრამ, ის არ არის ვალდებული, თავისი ფულით იყიდოს.

როგორც უკვე გითხარით, ამაზე ხმას არ უნდა ვიღებდე, რომ არ არსებობდეს ერთი მაგრამ. კალაძე და მისი გუნდი ის ხალხია, რომლებმაც მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბრალი წაუყენეს ვაცლავ ჰაველის დასაფლავებაზე ვენოკის ყიდვისთვის. ამ საკითხზე სასამართლოები დღემდე მიმდინარეობს.

სააკაშვილს 50-ლარიან ვენოკზე რომ ედავებოდი, თავად რატომ უკვეთავ 20.000 ლარის ყვავილებს? კალაძისგან არაფერი მიკვირს. კაცი ტაქსების დისპეტჩერად და მეკუბოვედ ჩამოყალიბდა.

ნამდვილი დისპეტჩერები კარგი ხალხია, მაგრამ ეს კალაძე მაგარი ჟულიკია – მერობა აღარ ჰყოფნის და ტაქსების დისპეტჩერობა მომინდომა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ნარმანია მოგვენატრებოდა. მოქმედმა მერმა წინამორბედს ყველაფერში, მათ შორის ლექსიკაშიც გადააჭარბა, ნარმანიას ვირიშვილო მაიმუნო გამოექანეთი ჩაანაცვლა.

დირსის კორპუსი აფეთქებას გადაურჩა

დაკეტილ ბინაში გაზი ჟონავდა

თბილისი გუშინ, 22 იანვარს, კიდევ ერთ ტრაგედიას შემთხვევით გადაურჩა – დიდი დიღმის მსგავსი აფეთქების გამეორების საფრთხის წინაშე ამჯერად დირსის მოსახლეობა აღმოჩნდა.

მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ კომპლექსში ბუნებრივი აირის სუნი ადგილობრივებმა იგრძნეს. აღმოჩნდა, რომ გაზი ერთ-ერთ დაკეტილ ბინაში რამდენიმე დღის განმავლობაში ჟონავდა.

– ბინა იყო დაკეტილი და იქ გაჟონვა მიდიოდა. ყაზტრანსგაზიდან იყვნენ, გაარკვიეს, რომ იყო გაჟონვა. არასწორად გადიოდა გაზი, გადარჩენილები ვართ ყველა, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავა, ამბობს, რომ ახალ კორპუსებში გაზის დამონტაჟებას მხოლოდ აკრედიტებული კომპანიის წარმომადგენელი შეძლებს. ძველ კორპუსებთან მიმართებით კი აუცილებელია, გამკაცრდეს კონტროლი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე კი ამბობს, რომ აუცილებელია სისტემის ისე აწყობა, რომ რისკები მინიმუმამდე დავიდეს. სოფო კილაძე თვლის, რომ საჭიროა ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

– ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიზანია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ადამიანს სიცოცხლესა და უსაფრთხოებას, – აცხადებს კილაძე.

თბილისის აეროპორტის თანამშრომელი ბარგიდან ნივთების მოპარვის ბრალდებით დააკავეს

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის თანამშრომელი მგზავრების კუთვნილი ბარგიდან ნივთების მოპარვის ბრალდებით დააკავეს. ფაქტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ქურდობა აეროპორტში დამონტაჟებულმა კამერებმაც დააფიქსირეს.

აეროპორტის მმართველი კომპანიის „ტავ ჯორჯიას" თანამშრომელი, კერძოდ კი მტვირთავი-მუშა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის ა ქვეპუნქტით არის დაკავებული.

ბორჯომის ტყეში 21 წლის ყვიბისელი სულხან ლომიძის ცხედარი იპოვეს

ბორჯომთან ახლოს, ტყეში, სოფელ ყვიბისში მცხოვრები 21 წლის სულხან ლომიძის ცხედარი იპოვეს.

ახლობლების ინფორმაციით, სულხანი ტყეში ცხენით იყო წასული. ერთ-ერთი ვერსიით, ახალგაზრდა ცხენიდან გადმოვარდა, დაცემისას გონება დაკარგა და ტყეში გაიყინა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო. ცხედარს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა და სწორედ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდება ლომიძის გარდაცვალების მიზეზი.

თბილისში 4 წლის გოგონა გარდაიცვალა

პოლიციამ გოგონას დედა დააკავა

თბილისში, სანზონაში, 4 წლის გოგონა გარდაიცვალა.

მისი მეზობლების ინფორმაციით, მშობლები ბავშვზე სისტემატურად ძალადობდნენ.

მათივე განცხადებით, გასულ კვირას ცემისგან ბავშვმა სერიოზული ტრავმები მიიღო, რის გამოც ის გარკვეული პერიოდი საავადმყოფოში იყო გადაყვანილი.

მეზობლებმა არაერთხელ მიმართეს პოლიციას, საქმის კურსში იყო უბნის ინსპექტორიც, თუმცა 4 წლის გოგონა 3 დედმამიშვილთან ერთად მაინც მშობლებთან ცხოვრობდა.

ამბები.ჯი-ს ინფორმაციით, ოჯახი თავს ბავშვების გაშვილებით ირჩენდა. როგორც სააგენტოს მეზობლებმა განუცხადეს, გარდაცვლილი 4 წლის გოგონას ბიოლოგიური მშობელი ბრალდებული ქალი არ იყო. მათივე ინფორმაციით, ბავშვი მამაკაცს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა, საერთო შვილი კი ახლახან შეეძინათ.

მეზობლების ინფორმაციით, დედინაცვალი განსაკუთრებული სიმკაცრით სწორედ იმ 2 არასრულწლოვნის მიმართ გამოირჩეოდა, რომლებიც მამაკაცს პირველ ქორწინებაში ჰყავდა, თუმცა, მათივე თქმით, ბავშვებს მამაც ხშირად უსწორდებოდა ფიზიკურად.

მეზობლების თქმით, ცემის შედეგად დაზიანებები აღენიშნება გოგონას 5 წლის ძმასაც.

– გოგონა ამ ქალის შვილია, როგორც ჩანს, მას პატარა ბიჭიც ჰყავს პირველი ქორწინებიდან. რაც შეეხება მესამე ბავშვს, როგორც ვიცი, ის ამჟამინდელი ქორწინებიდან ჰყავს. მამა არ იყო აგრესიული, ის ერთ რამეშია დამნაშავე, როცა ხედავს, რომ სასიკვდილოდ სცემს დედა ბავშვს, ზომები უნდა მიიღოს, – თქვა მეზობელმა.

მისი თქმით, ქალმა ამასწინათაც სცემა ბავშვს, მაგრამ მიჩქმალა.

– პოლიციას უთხრა, სძინავსო, არადა, როცა საბანი გადახადეს, სულ დალურჯებული ჰქონდა სახე. დაკითხეს ეს ქალი. ალბათ, ბავშვის გაგუდვის ახალი მეთოდი გამოიგონა.

24 საათის განმავლობაში სცემდა ბავშვებს. სულ წივილ-კივილი ისმოდა. დილით თვითონ გამოუძახებია სასწრაფო, ბავშვი ცუდად არისო, – აღნიშნა მეზობელმა.

გოგონას მამინაცვლის დედა, ბაბულია ძავაშვილი, ირწმუნება, რომ ბავშვი გრიპის გართულების შედეგად გარდაიცვალა და არა – დედის ცემის შედეგად.

– გრიპი ჰქონდა, ახველებდა... არ სცემდა, ხმაური რადგან გადიოდა, მეზობლები ამბობენ, რომ სცემდა ბავშვებს. გუშინ დაბანა და დააწვინა, დღეს კი გარდაცვლილი ნახა. ჩემი შვილი და რძალი პოლიციაში იმყოფებიან, – აცხადებს გარდაცვლილის მამინაცვლის დედა.

2014 წელს დაბადებული ბავშვის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

უწყების ინფორმაციითვე, საქმეზე დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ პოლიციამ გოგონას დედა დააკავა.

დავით რაზმაძე მოკლულია?

რას სწერდა ის დედას დაკარგვის წინა დღეს

თურქული გემის 23 წლის ქართველი მეზღვაური 2-კვირიანი გაუჩინარების შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს. უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ნავსადგურში ნაპოვნი ცხედარი დავით რაზმაძეს ეკუთვნის.

ლიბიაში დაკარგული ახალგაზრდა აგვისტოს ომის გმირის ზაზა რაზმაძის შვილია. გარდაცვლილის და ამბობს, რომ ომის შემდეგ მათ ოჯახს სახელმწიფომ ყურადღება არ მიაქცია. შიმშილისათვის განწირულები კი იძულებულები გახდნენ, სამუშაოდ უცხოეთში წასულიყვნენ.

დედა, ნინო ცეცხლაძე, კვიპროსის თურქულ ნაწილში ცხოვრობს, 23 წლის დავით რაზმაძე კი ლიბიაში თურქულ გემზე მუშაობდა.

ერთ-ერთი ვერსიით, დავით რაზმაძე, სავარაუდოდ, მოკლულია. იმის ეჭვი, რომ დავითი, შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლი ყოფილიყო, გარდაცვლილის ოჯახშიც აქვთ. 6 იანვარს ბოლოს ქართველმა მეზღვაურმა დედას მისწერა, რომ გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტას აპირებდა და სამშობლოში ბრუნდებოდა.

დავით რაზმაძის ცხედარს ექსპერტიზა ლიბიაში უტარდება. პროცედურების დასრულების შემდეგ კი მას სამშობლოში გადმოასვენებენ.

მელიასა და ვაშაძის სასამართლო პროცესი გურჯაანის სასამართლოში 31 იანვრისთვის გადაიდო

გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერების ნიკა მელიასა და გიორგი ვაშაძის სასამართლო პროცესი გურჯაანის სასამართლოში 31 იანვრისთვის გადაიდო.

მოსამართლემ მტკიცებულებების გამოსაკვლევად ერთკვირიანი დრო ითხოვა.

პროცესი რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მანამდე კი მოსამართლეს შსს-მ ვიდეოფაილები წარუდგინა, სადაც პოლიციელები ამბობენ, რომ ოპოზიციონერები მათი მისამართით ძალას იყენებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

პროცესს ნიკა მელია და მისი ადვოკატი ივანე პეტრიაშვილი ესწრებოდნენ.

სხდომის დასრულების შემდეგ ნიკა მელიამ განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებებში წაყენებული ბრალი არ იკვეთება. მელიას შეფასებით, ეს ცრუ ბრალდებაა.

– ისეთი მტკიცებულება წარმოადგინეს, რომ პოლიტიკურად მოტივირებული მოსამართლე კი არა, გახარია რომ იჯდეს მოსამართლის მანტიაში, მასაც გაუჭირდებოდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ეს ყველაფერი აბსურდულია, – აღნიშნა პოლიტიკოსმა.

პროცესზე მოწმის სახით ის პოლიციელები გამოიკითხნენ, რომლებიც 16 დეკემბერს ველისციხის მოვლენების დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, მათ შორის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ზურაბ ბერიკაშვილი.

ნიკა მელიასა და გიორგი ვაშაძეს ბრალდება ველისციხის ინციდენტის დროს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავება. გამოძიება 173-ე მუხლით

მიმდინარეობს, რაც პოლიციელებისთვის სიტყვიერ შეურაცხყოფას და კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

ვარკეთილში 2 მამაკაცის ცხედარი იპოვეს

„ძველებური გამათბობელი ჰქონდა და ალბათ ჩაქრა"

გაუმართავმა გაზგაყვანილობამ თბილისში კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შემთხვევა 21 იანვარს ვარკეთილში მოხდა.

საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში ორი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ერთ-ერთი მათგანი ბინის მეპატრონე, 70 წლამდე მამაკაცია, ხოლო მეორე – მისი მეზობელი.

– იყო მარტოხელა კაცი, მასთან მეზობელი იყო შესული. მეგობრები იყვნენ. ეტყობა, სვამდნენ. რომ არ მივიდა სახლში, დილით გამოიძახეს სამაშველო სამსახური. მოვიდნენ და დახვდათ ასეთი სურათი, ორივე გარდაცვლილი იყო.

სახლთან გაზის სუნი იგრძნობოდა. ძველებური გამათბობელი ჰქონდა სახლში, ირანული და, სავარაუდოდ, ჩაქრა, – ყვებიან მეზობლები.

იღებს თუ არა პასუხისმგებლობას კომპანია „ვარკეთილი აირი" ტრაგიკულ შემთხვევაზე – კომპანიაში ჯერჯერობით განმარტებები არ გაკეთებულა.

თბილისის ნაწილს ბუნებრივი აირით სწორედ ეს კომპანია ამარაგებს.

უბედური შემთხვევის ადგილზე კი გვიან ღამემდე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები. 2 მამაკაცის ცხედარი ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

დაშავებულმა მეზღვაურმა ზღვაში ერთი კვირა გაატარა და გადარჩა

ებრაელმა სამხედროებმა გადაარჩინეს მოგზაური, რომელმაც ხმელთაშუა ზღვაში უმართავ იახტაზე ერთი კვირა გაატარა.

ხომალდი ღაზას სექტორის სანაპიროსთან შენიშნეს. მის გემბანზე მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა – გამოცდილი მოგზაური ფრანგი ჟან-ფრანსუა კოლა, რომელმაც დედამიწას იახტით შემოუარა. მას ფეხი ჰქონდა დაშავებული.

ფრანგმა მოგზაურმა განაცხადა, რომ ზღვაში დეკემბერში სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ მონპელიედან გავიდა. რამდენიმე კვირის წინ ის ქარიშხალში მოყვა. შედეგად გაუფუჭდა ძრავა, გაუწყდა ღუზის ჯაჭვი და გაეთიშა ელექტროობა.

მოგზაური ვეღარ ახერხებდა იახტის მართვას და ვერც რადიოთი ახერხებდა დახმარების თხოვნას. დახმარება მაშინ გამოჩნდა, როდესაც საკვებისა და სასმელი წყლის მარაგი თითქმის ამოეწურა.

– როგორც ჩანს, ღმერთი მართლაც არსებობს, – სიცილით შენიშნა ფრანგმა მეზღვაურმა ისრაელის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ებრაელმა სამხედროებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ

საავადმყოფოში გადაიყვანეს. იახტა ქალაქ აშკელონის ნავსადგურში გადაიყვანეს და პატრონს სრული გამოჯანმრთელების შემდეგ დაუბრუნებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსეთში თვითმფრინავის ავღანეთში გაჭაცება ცადეს

ბორტი ხანტი-მანსიისკში დაჯდა

გუშინ, 22 იანვარს, რუსეთში, სურგუტი-მოსკოვის რეისით მიმავალი თვითმფრინავი გაიტაცეს. თვითმფრინავის ბორტზე მყოფმა 41 წლის მამაკაცმა პაველ შ.-მ პილოტებს ფრენის დროს მიმართულების შეცვლა და ავღანეთში ჩაფრენა მოსთხოვა.

პილოტმა თვითმფრინავი შემოაბრუნა და იგი ავღანეთის ნაცვლად უკან, ხანტი-მანსიისკის ოლქის მიმართულებით წაიყვანა.

თვითმფრინავის ბორტზე 69 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა.

რუსეთის სამართალდამცავების ინფორმაციით, მამაკაცი ფსიქიკურად არ არის ჯანმრთელი და რამდენჯერმე იყო დაკავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით, მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი ხულიგნობის გამო.

პილოტებმა ავიადისპეტჩერებს თვითმფრინავის ხანტი-მანსიისკის აეროპორტში დასმის უფლება მოსთხოვეს.

აეროპორტის სათადარიგო ბილიკზე დაჯდომის შემდეგ, თვითმფრინავში სპეცრაზმელები ავიდნენ და გამტაცებელი დააკავეს. ჩხრეკის დროს მათ მამაკაცს იარაღი ან რაიმე სახის ასაფეთქებელი ნივთიერება ვერ აღმოუჩინეს.

მამაკაცი სურგუტელია. სავარაუდოდ, ის მთვრალი იყო.

მგზავრები და ეკიპაჟის წევრები არ დაზარალებულან.

ისრაელმა სირიაში ირანის სამხედრო ობიექტებს დაარტყა

ისრაელმა სირიაში არსებულ ირანის სამხედრო ობიექტებს დაარტყა. საუბარია ირანული სპეცრაზმის, აგრეთვე, „ისლამის რევოლუციის გუშაგთა“ რაზმების პოზიციაზე დამასკოს აეროპორტის მახლობლად.

დარტყმების შედეგად მოკლულია 4 ირანელი ჯარისკაცი. დაზიანებულია აეროპორტის ინფრასტრუქტურა.

სირიაში დისლოცირებულმა რუსმა სამხედროებმა დაადასტურეს, რომ ისრაელმა დარტყმა მართლაც განახორციელა. ამავე დროს, ისინი ამტკიცებენ, რომ სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ ისრაელის 35-მდე რაკეტის ჩამოგდება შეძლო.

დამოუკიდებელი წყაროები ამას არ ადასტურებენ.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ისრაელი მსგავს დარტყმებს კიდევ განახორციელებს.

– ჩვენ არ დავუშვებთ რეგიონში ირანის პოზიციების მომძლავრებას, – ამბობს ნეტანიაჰუ.

თურქმენეთში რეზერვისტებს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს

თურქმენეთის პრეზიდენტმა რეზერვისტებს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა. ისინი მოვალენი არიან, სამხედრო კომისარიატებში გამოცხადდნენ და არ დატოვონ ტერიტორია, სადაც აღრიცხულნი არიან.

ეს ავღანეთში შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა.

ავღანეთის ტერიტორია, რომელიც თურქმენეთს ესაზღვრება, მთლიანად მოძრაობა „თალიბანის“ კონტროლქვეშ მოექცა. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ თალიბები თურქმენეთში შეიჭრან.

– ამ შემთხვევაში თურქმენეთის არმია მტერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, – მიიჩნევს ექსპერტი ოლეგ ჟდანკოვი.

თურქმენეთის არმია სუსტადაა შეიარაღებული და გაწვრთნილი. შესაბამისად, თალიბების შემოჭრის შემთხვევაში მთავრობა იძულებული გახდება, დასახმარებლად რუსეთს მიმართოს.

– არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა თალიბების შემოჭრის პროვიცირება მოახდინოს და ეს თურქმენეთზე გავლენის აღდგენისთვის გამოიყენოს, – ამბობს ჟდანკოვი.

პატრიარქი ფილარეტი: „კიევო-პეჩორსკის ლავრა უკრაინულ ავტოკეფალიურ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს“

ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის საპატიო პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ფილარეტმა განაცხადა, რომ კიევო-პეჩორსკის ლავრა უკრაინული სიწმინდეა და უკრაინის ავტოკეფალიურ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს.

– ძალადობა ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. არსებობს იურიდიული ბაზა. პარლამენტმა უკვე მიიღო კანონები, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ კიევო-პეჩორსკის ლავრა უკრაინის კუთვნილებაში კანონიერად დაბრუნდეს, – თქვა ფილარეტმა.

ტრაგედია ქერჩის ყურეში

ქერჩის ყურეში ტრაგედია მოხდა. გემებზე „კანდი“ და „მაესტრო,“ რომლებიც ტანზანიის დროშის ქვეშ დაცურავდნენ, ხანძარი გაჩნდა.

დაიღუპა 12 მეზღვაური.

ეკიპაჟი ძირითადად ინდოეთისა და თურქეთის მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული. არც რუსეთის, არც უკრაინის მოქალაქეები იქ არ იყვნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პუტინის რეიტინგი ეცემა



ვლადიმერ პუტინის რეიტინგი დაცემას განაგრძობს.

დეკემბერში პუტინს მხარს 35% უჭერდა, 20 იანვრისათვის კი ეს ციფრი 30%-მდე დაეცა.

მიზეზი გაჭიანურებული ომები და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემაა.

ამის გარდა, ექსპერტები კიდევ ერთ მიზეზზე მიუთითებენ: პუტინი კარგა ხანია რაც ხელისუფლებაშია და ხალხი მისგან, უბრალოდ, დაიღალა.

დოლის დროს ცხენი დაიღუპა და მხედარი გოგონაც იმსხვერპლა

დიდ ბრიტანეთში 22 წლის მხედარი გოგონა ნატაშა გალპინი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც გოგონა ცხენზე იყო ამხედრებული. აორტის გაგლეჯვის შედეგად ცხოველი დაეცა. ამ დროს მძიმე ტრავმა მიიღო მხედარმა და გარდაიცვალა. დაიღუპა ცხენიც.

კომპანია, რომელშიც გოგონა მსახურობდა, ამტკიცებს, რომ ასეთი შემთხვევის წინასწარმეტყველება ან აღკვეთა შეუძლებელია.

– მართალია ასეთი შემთხვევები უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც მხედარი ცხენზე ჯდება, რისკის ელემენტი ყოველთვის არსებობს, – აღნიშნა ბრიტანეთის სპორტული ცხენოსნობის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნიკ რასტმა.

გალპინი გამოცდილი მხედარი იყო. მან 2017 წელს შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ინგლისის ჩემპიონატი მოიგო. მას ცნობილი მწვრთნელი ჰყავდა და ასევე საკუთარ საჯინიბოსაც ფლობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვენესუელაში სამხედრო პუტჩი მოხდა?!

ვენესუელის მთავრობის ცნობით, ქვეყანაში სამხედრო პუტჩის მოწყობის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ეროვნული გვარდიის ცალკეულმა ნაწილებმა პრეზიდენტ მადურის დამხობა სცადეს.

– პუტჩი ჩახშობილია, – ამტკიცებს ვენესუელის ხელისუფლება.

სოციალურ ქსელებში მართლაც გავრცელდა ეროვნული გვარდიის რამდენიმე ოფიცრის მიმართვა მოსახლეობისადმი. მასში ნათქვამია, რომ ისინი პრეზიდენტ მადუროს ხელისუფლებას არ ცნობენ და ხალხს მისი დამხობისკენ მოუწოდებენ.

ვენესუელელი ოპოზიციონერები კი ამტკიცებენ, რომ პუტჩი სამთავრობო ძალების მიერ მოწყობილი პროვოკაციაა. მიზანი ოპოზიციის დისკრედიტაცია და განადგურებაა.

ინდონეზიაში 6.4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

ინდონეზიაში, ბოგორავატუს კუნძულის მახლობლად 6.4 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის გეოლოგიური სამსახური ავრცელებს.

ამ მიწისძვრამდე ცოტა ხნით ადრე, 6.0 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა.

მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით დილის 05:10 საათზე დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი აღმოსავლეთ ნუსა-ტენგარას პროვინციიდან 85 კილომეტრში იყო.

ინფორმაცია დაშავებულებზე ან ნგრევაზე არ გავრცელებულა.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზანკისტი კვირაკველია ოჯახშიც მცველია

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის ლოკომოტივის მცველი სოლომონ კვირკველია გუნდთან ერთად შეკრებაზეა. ჩვენებური რუსულ მედიასთან საინტერესო თემებზე საუბრობს.

– ზაფხულში იწერებოდა, რომ ლესტერში გადადიოდით. წაიკითხეთ ამის შესახებ?

– კი, შენ როგორ ფიქრობ? რა თქმა უნდა, წავიკითხე! ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ ლოკომოტივის ფეხბურთელი ვარ და გუნდთან 2,5 წელი ხელშეკრულება კვლავ მაკავშირებს. რა თქმა უნდა, ინგლისში თამაში ჩემი ოცნებაა – პრემიერლიგა ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია, მაგრამ არ მყავს ბრიტანეთში საყვარელი კლუბი. ძალიან დიდი ხანია, იუვენტუსისა და იტალიის ნაკრების ქომაგი ვარ.

– დაიწერა, რომ თქვენი გაყიდვის წინააღმდეგი სიომინი იყო. მან გითხრათ, რომ ვერსად წახვიდოდით?

– არა, ასეთი საუბარი არასდროს გვქონია, მაგრამ, რომ ეთქვა, არ უნდა წახვიდეო, ასეც მოვიქცეოდი, რადგან მჯერა მისი და ვიცი, ჩემი კარიერისთვის ცუდს არ მირჩევს. ვერ გეტყვით, ხშირი კომუნიკაცია გვაქვს-მეთქი, თუმცა, როგორც მწვრთნელსა და ადამიანს, დიდ პატივს ვცემ. მან მომცა მეორე შანსი, მეთამაშა ფეხბურთი.

– ლოკომოტივი პირველად არის ყატარში შეკრებაზე. თქვენ?

– ყატარში მეც პირველად ვარ, მაგრამ აქ ყველაფერი მომწონს. კარგი შეკრებაა, ყველანაირი პირობებით. თუმცა, მარბელა უფრო მომწონს – იქ ყველაფერი ახლოს არის.

– ლოცვების ფონზე ვარჯიშს მიუჩვეველი ხართ?

– ქრისტიანი ვარ, თუმცა პატივს ვცემ სხვა ადამიანების არჩევანსა და რწმენას. ამაზე რაიმეს თქმა, ჩემი აზრით, დიდი ცოდვაა.

– ფეხბურთელების დიდ ნაწილს შეკრება არ მოსწონს. რატომ ხდება ასე, როდესაც იქ სითბოა, სიმხიარულე, არანაირი გადატვირთული გრაფიკი.

– საერთოდ, მთავარია მეტი მატჩი. გინდა თამაში და მოგება, რადგან ეს სხვაგვარ განწყობას გიქმნის. შვებულების შემდეგ 3-4 მძიმეა. 12 საათზე გაღვიძების ნაცვლად ადრიან დილით გიწევს ადგომა. შემდეგ ნელ-ნელა ორგანიზმი ამ ყველაფერს ეჩვევა და ყველაფერი კალაპოტში დგება.

– თქვენი შვებულება როგორია?

– ოჯახთან ერთად საქართველოში მივდივართ. იქ ყოველთვის ბევრი საქმეა, მაგრამ ნორმალურად დავისვენე. იქ ხომ ბევრი მეგობარი და ნათესავი მყავს. ყველა ვგროვდებით, სტუმრად დავდივართ, ყოველთვის ერთად ვართ. სახლი საქართველოში ჯერ არ მაქვს, მხოლოდ ბინა, მაგრამ სახლის აშენებას ვაპირებ. დასვენების საუკეთესო ვარიანტი ოჯახია. მათთან ერთად თუ ვარ, აზრი არ აქვს, სად ვიქნებით.

– რამდენი მოიმატეთ შვებულების დროს?

– 2.5 კილოგრამი მქონდა ზედმეტი. 1.5 უკვე მოვიშორე, კიდევ 2 კილოგრამის „დაგდებას“ ვაპირებ.

– რა აკლია მოსკოვს საქართველოსთან შედარებით?

– მოსკოვში ყველაფერი მაქვს: მშვენიერი საფეხბურთო კლუბი, შესანიშნავი თანაგუნდელები, კარგი მწვრთნელი, ქალაქი კარგია, ახლობლები ჩემთან არიან. მოსკოვში კარგი ქართული რესტორნებიც არის – გემრიელად ამზადებენ. ყველაფერი არის, შეგიძლია უბრალოდ ფეხბურთი ითამაშო.

– უფრო და უფრო მეტი ფეხბურთელი იწყებს ღვინის ბიზნესს: სახელოვანი ღვინოები აქვთ ინიესტას, პირლოს... როდის უნდა ველოდოთ ღვინოს „კვირკველია“?

– უნდა დაიმსახურო, რომ საკუთარი ღვინო გააკეთო, მინიმუმ ერთხელ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, როგორც ინიესტამ და პირლომ. მაშინ ხალხს ჩემ შესახებ ეცოდინება და ღვინოს კარგი რეკლამა ექნება. ახლა რომ გავაკეთო, მხოლოდ მეგობრები თუ იყიდიან. მეგობრებს როგორ მივყიდო? მათ უფასოდ მივცემ ყველაფერს. ამიტომ ასეთ ბიზნესზე არ მიფიქრია.

– საქართველოში პოპულარული ხართ?

– ახლა მცნობენ და საკმაოდ ხშირადაც, განსაკუთრებით, ნაკრების კარგი შედეგების შემდეგ. ერთა ლიგის ჯგუფი პირველ ადგილზე დავასრულეთ. იმედია, მომავალშიც ყველაფერი კარგად იქნება. ახლა ფედერაციას კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს, ისინი გვეხმარებიან და ნაკრებისთვის ყველაფერს აკეთებენ. ამას დამატებული ფეხბურთელების კარგი თაობა და მწვრთნელი.

– ვარჯიშებზე ბევრი გაგაქვთ და ემოციურად აღნიშნავთ. შემოდგომიდან თავდასხმაში ითამაშებთ?

– ეს შედეგზეა დამოკიდებული. თუ 1:0-ს ვიგებთ, რა აზრი აქვს, წინ გავიქცე? წავალ, თუ საჭირო გახდა. ვფიქრობ, ცუდად არ გამომდის. თუმცა აუცილებელი არაა, მე გავიტანო; ჩემთვის მთავარია, დაცვაში ყველაფერი კარგად იყოს. ვარჯიშებზე კი შეიძლება, თან ერთმანეთს სულ ვენაძლევებით, ვინ უფრო მეტს გაიტანს. ვინც აგებს, კოტრიალობს ან სხვა რამე. ასე უფრო საინტერესოა.

– ასეთ ნაძლევებში ხშირად მონაწილეობთ?

– საერთოდ აზარტული ვარ. როდესაც



მთელი გუნდი ერთად ვუყურებთ ფეხბურთს, ხშირად ვნიძლავდებით შედეგის გამოცნობაზე. თანაბრად გამომდის გამოცნობა. ერთია, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ვერ გამოვიცანი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იქ არაობიექტურად ვიწინასწარმეტყველე.

– საქართველოდან გირეკავენ, რომ რომელიმე ადგილობრივ ტალანტს სინჯები მოუწყონ?

– იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ყველას ვუხსნი, რომ ფეხბურთელი ვარ, ჩემი სამუშაოა თამაში. აგენტი არ ვარ და არც მენეჯერი. როცა ფეხბურთის თამაშს თავს დავანებებ, მაშინ ვნახოთ. ახლა არ შემიძლია სინჯების მოწყობა. ჩემთვის ახლა მთავარი თამაშია.

– ახლახან მეორე ბავშვი შეგეძინათ.

– დიახ, ჩემს დაბადების დღეზე ვაჟი დაიბადა!

– ხშირად რეკავთ შინ შეკრების დროს?

– ყოველდღე, დღეში 10-ჯერ მინიმუმ. ზოგჯერ 20-ჯერ. კარგი მამა ვარ, ძალიან მიყვარს ჩემი შვილები, მაგრამ ვაჟი პატარაა ჯერ, ის ვერ გრძნობს და ქალიშვილი გიჟდება ჩემზე. თუ სახლში ვარ, არ მშორდება. ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი და ყოველთვის პირველ ადგილზეა.

– ბავშვებს ეჩხუბებით?

– არა, რას ამბობთ, არ შემიძლია. არის მომენტები, როცა რაღაც ისე არ ხდება და ჩემს მეუღლეს შეუძლია მკაცრად რამე თქვას, ქალიშვილი ატირდება ხოლმე და ჩემთან მორბის. იცის, რომ მისკენ ვიქნები. ამიტომ გამოდის, რომ სახლშიც მცველი გამოვდივარ.

– შვილებს წიგნებს უკითხავთ?

– ამით ძირითადად ჩემი მეუღლეა დაკავებული. სამაგიეროდ, ჩემს ქალიშვილს ძალიან უყვარს ფეხბურთი. ყოველ თამაშს უყურებს და იცის, სად ვთამაშობ. ყველას უებნება რომ მამამისი საქართველოს ნაკრებსა და ლოკომოტივში თამაშობს. ვასწავლი მას, რომ სხვებს უნდა გაუყო, თუ რამე არ აქვთ. პატივი სცე მათ, ვინც პატივს გცემს. მაგრამ არ სცე პატივი იმათ, ვინც შენ არ გცემს პატივს.

– იავნანას უმღერით?

– დიახ, ზღაპრებსაც ვუყვები ძილის წინ ქართულად.

– ანუ გამოდის, რომ სახლში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობთ?

– დიახ, მაგრამ ბავშვები მულტფილმებს რუსულ და ინგლისურ ენაზე უყურებენ. ქალიშვილს ასაკთან შედარებით კარგი რუსული აქვს. ყველაფერი ესმის და ლაპარაკობს. ერთხელ რუსულად მეუბნება: მამა შეგიძლია წყალი მომიტანო? მე მივუტანე და ის მპასუხობს: დიდი მადლობა, მე შენ მიყვარხარ. მეუღლე მეუბნება, ეს ყველაფერი მულტფილმებიდან ისწავლაო.

– მიმდინარე სეზონში ლოკომოტივთან ერთად ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშეთ. როგორი შთაბეჭდილებაა?

– ზღაპარია! ფეხბურთელის ოცნებაა მანდ ითამაშო და დაბრუნდე. სულ სხვა დონეა. ჰიმნი განსაკუთრებით. როცა ჰიმნს ვისმენდი, ლამის ტირილი მომინდა. ცუდია, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე კვლავ მოვხვდეთ. ამისთვის ყველაფერი გვაქვს.

– რა უფრო მეტად დაგამახსოვრდათ: შეშლილი თურქი გულშემატკივრები თუ არანორმალური თავსხმა წვიმა პორტუგალიაში?

– პორტუგალიური წვიმა დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე და ტრიბუნაზე ვიჯექი. თურქი გულშემატკივრები კი... მხოლოდ ერთხელ ჩაწყნარდნენ, როდესაც პირველი ტაიმის ბოლოს ხისტად ვთამაშობდით. საერთოდ, გალათასარაისთან წაგება საწყენი იყო. არ უნდა დავმარცხებულიყავით. თამაშით არ წაგვიგია, მხოლოდ ჩვენი უხეში შეცდომების გამო ვერ ავიღეთ ქულა. პირველივე ტაიმში შეგვეძლო გაგვეთანაბრებია. მეც მქონდა საგოლე მომენტი. რომ გაგვეტანა, სხვა თამაში იქნებოდა. თუმცა, ეს ფეხბურთია და ამიტომ არის საინტერესო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ვერაფერს შევცვლით, მაგრამ ფეხბურთიც გრძელდება და ცხოვრებაც.

– ჩემპიონთა ლიგის საბოლოო ემოცია როგორია?

– ჩვენ გვინდოდა, მინიმუმ ევროპის ლიგაზე გადავსულიყავით, მაგრამ არ გამოვიდა. ჩემპიონთა ლიგა სხვა დონეა, რომელსაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ. იქ გრძნობ, რომ შენც ფეხბურთელი ხარ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაჩულია დროს აგროვებს, ბითაძე — ორმაგ დუბლებს

ზაზა ფაჩულიას დეტროიტი ვაშინგტონს ესტუმრა და ზედიზედ მეორე მატჩი წააგო – 87:101. დრამონდის ტრავმის გამო ჩვენებური ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 24 წუთი დაჰყო. მან 4 ქულა, 3 მოხსნა და ერთი დაფარება დააგროვა. ზაზამ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და სამივე ბურთი საკუთარ ფარზე მოხსნა.

წაგების გარდა, ცუდი ის არის, რომ ვაშინგტონი დეტროიტის უშუალო კონკურენტია საფლეიოფო ზონაში შესასვლელად. სადღეისოდ, დეტროიტი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-9 ადგილზეა და ვაშინგტონი პისტონსს ერთი პოზიციით ჩამორჩება. ფაჩულიას გუნდის მომდევნო მეტოქე პელიკანსი იქნება.

გოგა ბითაძემ ორმაგი დუბლი მიითვალა – ამჯერად ადრიატიკის ლიგაში. 19 წლის ქართველის მონაგარი ხორვატულ ცედევიტასთან დაძაბულ და დრამატულ მატჩში 10 ქულა და ამდენივე მოხსნაა, რითაც პოდგორიცეს ბუდუჩნოსტს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა.

ჩერნოგორიულმა გუნდმა გამარჯვება დიდი ოფლის ღვრის შედეგად მოიპოვა. ცედევიტა ახლოს იყო გამარჯვებასთან და საფინალო სირენამდე 2 წუთი ადრე იგებდა კიდეც, მაგრამ დარჩენილ დროში მასპინძლებმა დაცვაში კარგი თამაშით და ზუსტი შეტევებით თამაში შემოატრიალეს. მატჩის დასრულებამდე 3 წამით ადრე ბუდუჩნოსტი 80:78 დაწინაურდა, ხოლო ბურთი მეტოქეს ჰქონდა. ბოლო სტყორცნა ხორვატთა მხრიდან საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა, ჯეიკობ პულენმა ითავა, თუმცა მას ნორის კოულმა დაუფარა და მატჩიც დასრულდა.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ბითაძემ მოედანზე 22 წუთი გაატარა და 10 ქულასა და 10 მოხსნასთან ერთად 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 6-დან 2 ორქულიანი და 10-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა.

შეხვედრის საუკეთესო მექულე კი პულენი გახდა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლეგიონერმა 27 წუთში 25 ქულა დააგროვა. პულენმა 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო და 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო.

ბუდუჩნოსტმა ამ გამარჯვების შემდეგ 11 მოგებითა და 5 წაგებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ადრიატიკის ლიგაზე პოდგორიცელები მომდევნო მატჩს სტუმრად სლოვენიურ ოლიმპიასთან ჩაატარებენ, მანამდე კი ევროლიგაში ესპანურ გრან კანარიასთან მოუწევთ დაპირისპირება.

ჭიდაობაში მომხდარ ინციდენტზე გამოძიება გრძელდება

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის დროს მომხდარი ინციდენტი კვლავ ყურადღების ცენტრში რჩება.

შეგახსენებთ, რომ 87 კგ. წონის ფინალური შეხვედრა რობერტ კობლიაშვილსა და ზურაბ დათუნაშვილს შორის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. მოგვიანებით ტელეკომპანია რუსთავი 2-მა გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, რომ ჩხუბის დროს ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე დათუნაშვილს ფიზიკურად უპირისპირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სპორტის სასახლეში საქართველოს ჭიდაობის ჩემპიონატის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

მიუხედავად კადრების არსებობისა, გეგეშიძე ყველაფერს უარყოფს, თუმცა დასძინა, რომ არსად იმალება და გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს. ამასთან, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან მისი გადადგომა არ განიხილება.

და მაინც, გეგეშიძეს წყალი უნდა ჰქონდეს შემდგარი, რადგან თბილისის მერი კახა კალაძე მომხდარ ინციდენტს უარყოფითად აფასებს და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აანონსებს.

კახა კალაძე:

– ყველა ნორმალური, საღად მოაზროვნე ადამიანისთვის, კატეგორიულად მიუღებელია ის, რაც მოხდა. ეს იყო ამაზრზენი, რაც სატელევიზიო ეთერით ვიხილეთ. როგორც ვიცი, გამოძიება დაწყებულია და რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

შეგახსენებთ, 2018 წელს ჭიდაობის ფედერაცია წლის საუკეთესო ფედერაციად აღიარეს. თუმცა, კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი გეგეშიძე ხმის მიმცემ სხვა ფედერაციებთან „დარბოდა“ და საუკეთესოდ აღიარებას ითხოვდა.

შედეგები

21 იანვარი

ფეხბურთი

აზიის თასი

იაპონია-ს.არაბეთი 1:0

ავსტრალია-უზბეკეთი ..... 0:0(4:2პ)

საემიროები-ყირგიზეთი ..... 3:2(დდ)

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი 0:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-ესპანიოლი 3:0

საატენიო მდგომარეობა:

1.ბარსელონა	20	14	4	2	56-21	46
2.ატლეტიკო	20	11	8	1	30-13	41
3.რეალი	20	11	3	6	30-24	36
4.სევილია	20	9	6	5	31-22	33
5.ალავესი	20	9	5	6	22-23	32
6.ხეტაფე	20	8	7	5	25-16	31
7.ბეტისი	20	8	5	7	25-25	29
8.სოსიედადი	20	7	5	8	25-24	26
9.ვალენსია	20	5	11	4	19-18	26
10.ლევანტე	20	7	5	8	32-35	26
11.ეიბარი	20	6	7	7	24-28	25
12.ხირონა	20	5	9	6	23-26	24
13.ესპანიოლი	20	7	3	10	21-30	24
14.ბილბაო	20	4	11	5	21-26	23
15.ლეგანესი	20	5	7	8	18-24	22
16.ვალიადოლიდი	20	5	7	8	17-23	22
17.სელტა	20	5	6	9	32-34	21
18.რაიო	20	5	5	10	24-36	20
19.ვილიარეალი	20	3	9	8	21-26	18
20.უესკა	20	2	5	13	17-39	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გრანადა-ელჩე 2:1

იტალია. სერია ა

ჯენოა-მილანი 0:2

იუვენტუსი-კიევო 3:0

საატენიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	20	18	2	0	41-11	56
2.ნაპოლი	20	15	2	3	39-18	47
3.ინტერი	20	12	4	4	31-14	40
4.მილანი	20	9	7	4	28-20	34
5.რომა	20	9	6	5	37-26	33
6.ლაციო	20	9	5	6	29-23	32
7.ატალანტა	20	9	4	7	44-27	31
8.სამპდორია	20	8	6	6	35-26	30
9.პარმა	20	8	4	8	19-24	28
10.ფიორენტინა	20	6	9	5	28-21	27
11.ტორინო	20	6	9	5	26-22	27
12.სასუოლო	20	6	8	6	30-32	26
13.კალიარი	20	4	9	7	19-27	21
14.ჯენოა	20	5	5	10	25-38	20
15.უდინეზე	20	4	6	10	17-25	18
16.სპალი	20	4	6	10	16-28	18
17.ემპოლი	20	4	5	11	24-39	17
18.ბოლონია	20	2	8	10	16-30	14
19.კიევო	20	1	8	11	14-38	11
20.ფროზინონე	20	1	7	12	12-42	10

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

სპეცია-ვენეცია 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

პარიზი-ბრესტი 0:1

ლე ავრი-რედ სტარი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ფენერბახჩე 1:1

ქაშიმფაშა-რიზე 0:1

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ასი წლის მონადირემ ერთი გასროლით ორი ირემი მოკლა

ამერიკის მისისიპის შტატის ქალაქ მორგანტაუნის მცხოვრები ქალი თავისი 101-ე დაბადების დღის აღნიშვნის შემდეგ სანადიროდ წავიდა და ერთი გასროლით ორი ირემი მოინადირა.

ბერტა ბიკერსი თოფით საფარში ჩაჯდა, რომელიც მისმა ნათესავებმა მოუწყვეს. როდესაც მახლობლად ირემი გამოჩნდა, მას მაშინვე არ უსროლია ცხოველისთვის.

– გადავწყვიტე, უფრო მსხვილი ცხოველის გამოჩენას დავლოდებოდი, – განმარტა მონადირე ქალბატონმა.

მისი მოთმინება სათანადოდ იქნა ანაზღაურებული.

– მალე უფრო დიდი ირემი გამოჩნდა. გავისროლე და ვხედავ, რომ მიწაზე ორი ირემი გდია, – გაიხსენა ბიკერსმა.

მისი თქმით, ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ ნანადირევი შეწვა და მისი დიდი ნაწილი შვილიშვილებს დაურიგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალი ერთ კვირაში ორჯერ დაფეხმძიმდა და სამი ტყუპი გააჩინა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ქალბატონი ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ, ბუნებრივი და ხელოვნური განაყოფიერების საშუალებით დაფეხმძიმდა. მანამდე ის და მისი ქმარი რვა წლის მანძილზე ვერ ახერხებდნენ ბავშვის ჩასახვას.

ბეატა ბიენიასი, უილტშირის საგრაფოს მკვიდრი მრავალი წლის მანძილზე საკვერცხის პოლიკისტოზის გამო ვერ ახერხებდა დაფეხმძიმებას. დაავადება მისი სიმსუქნის მიზეზიც გახდა და მისმა წონამ 110 კილოგრამს მიაღწია. 2017 წელს ექიმებმა ქალს გახდომა ურჩიეს და მან ნახევარ წელიწადში წონაში 30 კილოგრამი დაიკლო.

ამის შემდეგ 36 წლის ბიენიასმა ხელოვნური განაყოფიერებისთვის მზადება დაიწყო. ის ექიმების ყველა რეკომენდაციას ითვალისწინებდა და პროცედურამ წარმატებით ჩაიარა. იმ მომენტისთვის მან არ იცოდა, რომ პროცედურამდე რამდენიმე დღით ადრე ბუნებრივი გზით დაფეხმძიმდა.

პროცედურეს ჩატარებიდან მალევე ქალმა ფეხმძიმობის ტესტი გაიარა და დადებითი შედეგი მიიღო. ამ მოვლენის აღსანიშნავად ცოლ-ქმარმა ორკვირიანი შვებულება მოიწყო, ხოლო როდესაც დაბრუნდნენ და ქალმა ექოსკოპია გაიარა, ექიმმა მას აცნობა, სამი ბავშვის დედა გახდებოდა. ამასთან, ორი ტყუპი მესამეზე რამდენიმე დღით ადრე იყო ჩასახული. ფეხმძიმობამ უპრობლემოდ ჩაიარა და დეკემბერში ქალმა სამი ტყუპი გააჩინა. ბავშვებს იმელია, მატილდა და ბორისი დაარქვეს.

ტანკისტი კვირკველია ოჯახშიც მცველია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

– თქვენი აზრით, რატომ არ გამოუვიდა ლოკომოტივს სეზონის პირველი ნახევარი?

– ვის გამოუვიდა?

– ზენიტი პირველ ადგილზეა.

– და რა? 6 ქულაა სხვაობა და ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კი, იყო რაღაც მომენტებში სირთულეები, მაგრამ ასეთი ყველა გუნდს შეიძლება დაემართოს. ცუდად დავიწყეთ და შემდეგ გამოვასწორეთ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ვიბრძოლებთ ბოლომდე, ბოლო წუთამდე. დამაჯერებლად ვერავინ თამაშობს. 6 ქულა სხვაობა და წინ 13 ტური, ამასთან კონკურენტებს სახლში ვეთამაშებით. ვნახოთ რა იქნება. თუ გავიხსენებთ, რომ არც წინა სეზონში ფიქრობდნენ ჩვენს ჩემპიონობას, მაგრამ ღირსეულად და დამაჯერებლად ავიღეთ ოქრო.

– ზენიტთან მარცხი სეზონის პირველ ნახევარში ყველაზე მტკივნეული იყო?

– ჩემთვის კი, ძალიან განვიცდიდი. საქმე პრინციპულ მეტოქეობაში არაა, ისინი ყველა პრინციპული ჩვენთვის. უბრალოდ, ბევრი უხეში შეცდომა დავუშვით, მათ შორის, მეც. ახლაც არ მინდა გახსენება. იმედია, არ განმეორდება. საერთოდ, როცა ვაგებთ, ღამე ვერ ვიძინებ. ვფიქრობ, როგორ შეიძლებოდა იმ მომენტში სხვაგვარად თამაში, რატომ გადავწყვიტე, ასე მეთამაშა. სისულელეა, მაგრამ მაინც გინდა, გაერკვე.

– საჩემპიონო სეზონში პეჩინოვიჩთან ერთად სტაბილური წყვილი იდგა დაცვის ცენტრში. ამჯერად ეს სტაბილურობა აკლია გუნდს. ეს ძალიან გიშლით ხელს?

– ამისგან დაზღვეული არავინ არის. ტრავმებსა და დისკვალიფიკაციას წინასწარ ვერავინ გათვლის. ბოლო 6-7 ტური შედარებით სტაბილური შემადგენლობით ვითამაშეთ. ახლაც ყველა ფორმაში ვართ და კიდევ მოვუმატებთ. მთავარია, ყველა ჯანმრთელად ვიყოთ.

– ზაფხულში გუნდს შეუერთდნენ ჰიოვედესი და კრიხოვიაკი. ვარჯიშებზე მიდგომით ეტყობათ, რომ კარიერის დიდი ნაწილი ტოპკლუბებში გაატარეს?

– ვერ გეტყვით. მე არ ვუყურებ სხვების საქმეს, ვემზადები ჩემთვის და ვაფასებ საკუთარ თავს. ისინი დიდი ფეხბურთელები და პროფესიონალები არიან. მაგრამ ჩვენც ვთამაშობთ რაღაც დონეზე არა? ჩვენც ვიცით რა უნდა გავაკეთოთ და რა – არა. ასე რომ, ერთმანეთს ხელს არ ვუშლით.

– მიმდინარე სეზონში თავის ტრავმა მიიღეთ და ერთი მატჩი ჩაფხუტით ითამაშეთ – არაკომფორტულია?

– ძალიან. ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ვერაფერს ხედავ. ერთხელ ვითამაშე ჩაფხუტით, თუმცა შემდეგ მოვიხსენი. გუნდელები დამცინოდნენ, ტანკისტი ხარო. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ჩაფხუტით ვითამაშე. საქართველოს ნაკრებში ორი წლის წინ თავი გამიხეთქეს. თავზე ერთი მხრიდან 13 ნაკერი მაქვს, მეორე მხრიდან – 8.

– ხვდებით, რით შეიძლება დასრულდეს ორთაბრძოლა, როცა მასში ერთვებით?

– ჩემთვის სულ ერთია. არაფრის მეშინია. ცხოვრებაშიც არაფრის მეშინია, ჯერ არ ყოფილა ასეთი მომენტი. იმედია, არც იქნება.

– ჩხუბზე თქვენი პროვოცირება ადვილია?

– არ ვიცი, ჩემ გვერდით ასეთი ადამიანები არ არიან, მათ ახლოს არ ვუშვებ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ჩხუბისკენ ებიძგებინა და მოედანზეც ეგრეა, თუმცა იქ მაინც ფეხბურთია, მაგრამ ჩხუბი არაა ლამაზი საქციელი. მით უმეტეს, მატჩის შემდეგ ყველა მეგობრები ვარ და ჩვეულებრივად ვურთიერთობთ.

– ზამთარში ლოკომოტივის ხელმძღვანელობაში ცვლილება მოხდა. ილია გერკუსთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

– არცთუ ხშირი, მაგრამ ცუდი არა. საერთოდ, გერკუსი წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, ლოკომოტივში ვერ ვითამაშებდი. მადლობელი ვარ წინა ხელმძღვანელობის. ფეხბურთში ასე ხდება. აი, მაგალითად მე დღეს ლოკომოტივში ვარ, მაგრამ ხვალ სად ვიქნები არ ვიცი.

– ახალ გენერალურ დირექტორს (ვასილი კიკნაძე) ქართული ფესვები და ქართული გვარი აქვს. ეს კარგის ნიშანია?

– რა თქმა უნდა, ხომ იცით, როგორ მოაქვთ ქართველებს ლოკომოტივისთვის გამარჯვებები. მინიმუმ ევროპა ლიგას მოვიგებთ, თუმცა ჯერ ჯობია, კვლავ ჩემპიონატი მოვიგოთ. კიკნაძეზე ის ვიცი, რომ პატივსაცემი კაცია. მას ადარდებს კლუბი და სურს, ის უკეთესი გახადოს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, მისი გვჯერა.

– როცა ჩემპიონობა მოიპოვეთ, გქონდათ თუ არა შეგრძნება, რომ 1.5 წელიწადში ყაზანში სათადარიგოთა სკამიდან არა მხოლოდ ფეხბურთში დაბრუნება, არამედ მაქსიმუმის გაკეთება შეძელით?

– როცა ახალი სეზონი დაიწყო, უკვე ჩემპიონობის სტატუსით ვიყავით. ისეთი მაგარი შეგრძნებაა, კიდევ მინდა! ისეთი ადამიანი არ ვარ, რომ მივაღწიე და დავმშვიდდი. უფრო მეტი და მეტი მინდა. არიან კლუბები, რომლებსაც 6-7-ჯერ მოუგიათ ჩემპიონატი. ამისთვის ყველაფერი გვაქვს. შემადგენლობით არავისზე ნაკლები არ ვართ, უკეთესი თუ არა.

ხარმა მაყურებლების თვალწინ საუკეთესო მხედარი მოკლა

აშშ-ში გამოსვლის დროს ხარებზე ასპარეზობის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მხედარი დაიღუპა.

25 წლის მეისონ ლოუს დაღუპვის თაობაზე ინფორმაცია ტვიტერში პროფესიონალი მხედრების ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შონ გლისონმა გამოაქვეყნა. უბედური შემთხვევა კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში გამართული როდეოს დროს მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ხარმა მხედრის ჩამოგდება მოახერხა, ხოლო როდესაც ლოუ ფეხზე დგებოდა, მან უკანა ფეხები მკერდის არეში ჩასცხო. მხედარი წამოდგა, გასასვლელისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მკერდზე ხელი იტაცა და დაეცა. ის არენიდან საკაცეთი გაიყვანეს.

ლოუ შვიდი წელი გამოდიოდა როდეოში და პროფესიონალი მხედრების მსოფლიო რეიტინგში მეოცე ადგილზე იმყოფებოდა. უკანასკნელ სეზონში მან შეჯიბრებების, რომელშიც მონაწილეობდა, 70 პროცენტი მოიგო. ხარზე როდეო, როდეოს ყველაზე სახიფათო სახეობადაა მიჩნეული. გამარჯვების მოსაპოვებლად მხედარმა ხარის ზურგზე მხოლოდ თოკის დახმარებით თავი 8 წამის განმავლობაში უნდა შეიმაგროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

23 იანვრისათვის

ვერძი – კონფლიქტი და საქმის გარჩევები დიდ ენერგიას გართმევთ. შემოქმედებით სფეროში მომუშავეებს გიმართლებთ. **კურო** – დღეს მიიღებთ იმას, რაზეც ადრე ოცნებობდით. ყოველმხრივ წარმატებული და კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ბიზნესის სფეროში დაკავებულებმა იფრთხილეთ. მოსალოდნელია დაღლილობა და დეპრესია. **კირჩხიბი** – ემოციური აღმავლობის დღეა. შთაგონება გეწვევათ, თუმცა სამსახურში უსიამოვნების ალბათობა დიდია. **ლომი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმამაცე გმართებთ. ლიდერობისკენ სწრაფვა პრობლემებს შეგიქმნით. **ქალწული** – შანსი გამოიყენეთ და ფორტუნა გაგიღიმებთ. ძალები სწორად გაანაწილეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა თამამად შეგიძლიათ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – ძალები ახალ სფეროში მოსინჯეთ. თუ გონიერებას გამოიჩენთ, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ. ენერგია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის დაზოგეთ. დღეს თავს დასვენებისა და გართობის უფლება მიეცით. **თხის რქა** – დაწყებული საქმე აუცილებლად განაგრძეთ. ერიდეთ ხმაურიან ადგილებს. **მერწყული** – შეცდომები თამამად აღიარეთ და გამოასწორეთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **თევზები** – ეს დღე ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუძღვენით. ნუ იძუნწებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა უილიამ შექსპირის ტრაგედიები; 2. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 3. ქართველი ფეხბურთელი ძმების გვარი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ტვირთის უწყვეტად გადამტანი მოწყობილობა საწარმოში; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12 პატარა ქირურგიული დანა; 14. ქართველი კერამიკოსი, მხატვარი ქალი; 16. სისხლის, წნევისა და გულის მოქმედების ერთდროული დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 17. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 20. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

თარაზულად: 5. ჩეჩენებისა და ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10 პატარა სასაუზმე გერმანიაში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო კომპანია; 13. კანიონი ხონის რაიონში; 15. ქართველი მგოსანი; 18. მდინარეზე, ხეობაზე გადებული ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 21. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 22. მარგალიტის ყელსაბამი; 23. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ენოლოგია; 2. ზევსი; 3. აპელაცია; 4. სოპოტი; 7. გიუმი; 9. პიეტა; 12. ესკალატორი; 14. მიკადო; 15. ფეიქარი; 17. პატენტი; 20. ნეონი.

თარაზულად: 5. ინტერესი; 6. სოპრანო; 8. ბესელია; 10. დემენცია; 11. ფიქცია; 13. გრადუსი; 16. კარაბინი; 18. წაბლი; 19. აიეტი; 21. ბერდია; 22. ერდოღანი; 23. პოსტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლაკმუსი; 2. ბადაგი; 3. ჩუღურეთი; 4. ნიკოტინი; 7. ტიტესტერი; 8. მაშარაბი; 12. ბელფასტი; 14. საფერავი; 16. ენერგია; 17. ავატარი; 19. ყავა; 20. შინი.

თარაზულად: 5. ბასტილია; 6. ბრუქსიზმი; 9. ზუროსი; 10. გიტარა; 11. აშარი; 13. ქერჩი; 15. ჯამილე; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გარინჩა; 23. მანტისა.

„მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებული გიორგი კელაპტრიშვილი გახდა

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონი დასრულდა. მისი გამარჯვებული მომღერალი გიორგი კელაპტრიშვილი გახდა. ის ყველა საკონკურსო ტურის ლიდერი იყო და მუდმივად ხალხის რჩეული ხდებოდა, ამიტომაც მისი გამარჯვება კიდევ უფრო სასიხარულო აღმოჩნდა გიორგის გულშემატკივრებისთვის.

„მხოლოდ ქართულის“ ფინალური კონცერტი მისი ორგანიზატორებისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. დასკვნითი საღამო 33 წლის ასაკში გარდაცვლილი ჟურნალისტის ლევან ჩხაიძის ხსოვნას მიეძღვნა.

დასკვნითი საკონკურსო დღე მაია ასათიანისა და ნანუკა ჟორჟოლიანის მაგივრად თიკა ფაცაციამ წაიყვანა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ნანუკამ და მაიამ „მხოლოდ ქართულის“ ფინალის წაყვანა ლევანის გარდაცვალების გამო ვერ შეძლეს.

კონკურსანტებმა ქართული სიმღერები ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან და ზვიად ბოლქვაძესთან ერთად შეასრულეს. ისინი ნინო ქათამაძემ, ბუბა კიკაბიძემ, ლელა წურწუმიამ, სოფო ნიჟარაძემ, მარინა ბერიძემ და გიორგი გაბუნიამ შეაფასეს და ორივე საკონკურსო ტურის შემდეგ უმაღლესი ქულებით პირველი ადგილი გიორგი კელაპტრიშვილს მიაკუთვნეს.

გიორგიმ მაყურებლისგანაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო და „მხოლოდ ქართულის“ სამ ფინალისტს – ნუცა თოფურიას, ნოდარიკო ხუციშვილსა და გუგა მარგველაშვილს აჯობა. მას მთავარი პრიზი პირველი სეზონის გამარჯვებულმა სოფო ბათილაშვილმა გადასცა.

გამარჯვებულმა პროექტისთვის დაწესებული მთავარი პრიზი – ო�ოთახიანი ბინა და სხვადასხვა პრიზი მოიგო. გიორგის ერგო ორკაციანი ბილეთი ერიკ კლეპტონის კონცერტზე, 5 ათას ლარიანი ვაუჩერი ახალი სახლისთვის ავეჯის შესაძენად და ორკაციანი საგზური „ფორმულა 1“-ზე დასასწრებად.

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ კი სამივე ფინალისტს დაუნიშნა 2 ათას ლარიანი სტიპენდია ყოველთვიურად ერთი წლის განმავლობაში.

გუგა მარგველაშვილმა ვენის მუსიკალურ აკადემიაში მასტერკლასებზე დასწრების უფლება მიიღო, ოთხივე ფინალისტი დუბაიში დასასვენებლად გაემგზავრება, ნოდარიკო ხუციშვილმა მოიგო ორკაციანი საგზური თურქეთში და 3 ათასი ლარი ფულადი ჯილდო, „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონში მონაწილე ყველა გოგოს გადაეცა საგზურები მილანში სამოგზაუროდ, გიორგი ნარმანიამ 5 ათასი ლარი მოიგო, ნუცა თოფურიამ ზარაფხანისგან ოქროს სამკაული მიიღო საჩუქრად, გიორგი ცხადაძეს 2 ათას ლარიანი ვაუჩერი გადაეცა და იმისთვის, რომ გული არავის სტკენოდა, „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის ყველა მონაწილე დასასვენებლად ბაკურიანში გაემგზავრება.

„სახლი, სადაც „იმერული ესკიზებია“ გადაღებული, არ ეკუთვნის და არც არასოდეს ეკუთვნოდა მამუკა ბახტაძეს“

ასეთი განცხადება გააკეთა ზვიად კუპრავამ და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ტყუილში ამხილა:

– პრემიერი ბახტაძე ისე მიდის თანამდებობიდან, არაფერი დამიწერია და მითქვამს მასზე, მნიშვნელოვანი, არაფერი, იმიტომ რომ არაფერი იყო და, შესაბამისად, არაფერი ტოვებს პრემიერ-მინისტრის პოსტს.

მაგრამ ახლა გადავწყვიტე, მგონი, პირველი და უკანასკნელი პოსტი მივუძღვნა მას.

გახსოვთ, ალბათ, პრემიერ-მინისტრად დანიშვნის პერიოდში ბახტაძემ, რომელიც თავის თავს პოზიტიური ელემენტებით ახასიათებდა, „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ ის გაიზარდა იმ ეზოში, სადაც ცნობილი ქართული კომედია „იმერული ესკიზებია“ გადაღებული და ყოველ წელს ცდილობს, ზაფხულობით ჩავიდეს და მიიღოს სულიერი სიამოვნება.

ამაში სათაკილო და დასაძრახი განა რა უნდა იყოს, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება...

სახლი, სადაც „იმერული ესკიზებია“ გადაღებული, არ ეკუთვნის და არც არასოდეს ეკუთვნოდა მამუკა ბახტაძეს ან მის ოჯახს.

ფილმი გადაღებულია სოფელ დიდ ჯიხაიშში.

აღნიშნული სახლი უკვე 6 წელია დანგრეულია და ეზო 30 წელია ეკუთვნის დეიდაჩემსა და მის ოჯახს, ჩემს დეიდაშვილს ზურაბ ლეჟავას.

პრემიერის რა გითხრათ და მე ნამდვილად ვარ გაზრდილი იმ სახლში და ეზოში, თუმცა ბახტაძე მაშინ ჩვენ, ბავშვებს, არასოდეს თვალით არ გვინახავს.

პ.ს. ჟურნალისტებს ვისაც გაინტერესებთ თემა, შემიძლია, კონტაქტები მოგაწოდოთ.

წმინდა ნინოზე გადაღებული ფილმის თბილისური პრემიერა ჩაიშალა



20 იანვარს კინოს სახლში რეჟისორ მაკა ბურდულის მიერ წმინდა ნინოზე გადაღებული ფილმის პრემიერა უნდა გამართულიყო, თუმცა დაგეგმილი პრემიერა არ შედგა.

ეს არის ფოტოფილმი, რომელშიც იაკობ გოგებაშვილის „საღვთო ისტორიების“ მიხედვით წმინდა ნინოს ისტორიაა მოთხრობილი.

ფილმში მსახიობი გუჯა ბურდული სამ როლს თამაშობს. ერთ-ერთი მათგანი ხანში შესული იაკობ გოგებაშვილია. ზაზა კოლელიშვილი ანდრია პირველწოდებულს განასახიერებს, სალომე ფინდიშვილი წმინდა ნინოს როლის შემსრულებელია, წმინდანის მამის როლს დათო-ლუკა ქაფიაშვილი თამაშობს, იაკობის ახალგაზრდობას – თორნიკე ჩეკურიშვილი, წმინდა ნინოს ბიძას, პატრიარქ იუბენალს – თორნიკე ალაშვილი, წმინდა ნინოს ძიძას – ინესა აბესაძე, მაკა ბურდული კი წმინდა ნინოს დედაა.

ფოტოფილმი ექსპერიმენტულია და მისი ოპერატორი უკრაინელი ოლგა ობორინაა. ფილმი მუსიკალურად კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგიით“ არის გაფორმებული.

მაკა ბურდული, რეჟისორი:

– გამოუტანეს ვერდიქტი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში აღარ უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ ძალიან ცდებიან. ეს არის განძი და ის სკოლებში აუცილებლად უნდა დარჩეს. ადამიანმა, რომელმაც დაარქვა პირველ წიგნს „დედა ენა“, ის არის უნიკალური. არც ერთ სხვა ენაზე სახელმძღვანელოს „დედა ენა“ არ ჰქვია.

ჩემი ფილმი ემსახურება იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებების პოპულარიზაციას. ეს არის 12-15-წუთიანი ფოტოფილმები იაკობ გოგებაშვილის სხვადასხვა ნაწარმოების მიხედვით.

რუსი ეგზარქოსები როცა ქართულად ქადაგებას კრძალავდნენ, იაკობმა ქართველი ბავშვებისთვის დაწერა „საღვთო ისტორია“ და ასე გადაწყვიტა ქართველების განათლება.

ერთ-ერთი ამონარიდი არის ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოზე, რომელიც გადავიღეთ. გადაღებები მაყვლოვანშიც გვქონდა. დედა იღუმენიამ გვაჩუქა წმინდა ნინოს ჯვარი, ბაზალეთის სიყვარულის კოშკებზეც დაგვრთეს ნება, გადაღებები გვქონოდა.

ამ ფილმით ძალიან დაინტერესდნენ ბაქოში, სადაც უნივერსიტეტში ვსწავლობ. ჩემი ეს ნამუშევარი სამაგისტრო პროგრამისთვის არის განკუთვნილი. სულიერებით სავსე ფილმია და გაგიჟდნენ ბაქოელები. ილჰამ ალიევის პროექტია მულტიკულტურალიზმის ეგიდით და იქაური ტელევიზია უანგაროდ მეხმარება.

ფილმი უკვე მიწვეულია მართლმადიდებლურ ფესტივალზე „ზალატოი ვიტიაზ“ (ოქროს საწმისი) ბაქოს უნივერსიტეტის სახელით.

პ.ს. რეჟისორის ინფორმაციით, ფილმის პრემიერა 25 იანვარს ბაქოში გაიმართება, 27 იანვარს, ნინოობის დღესასწაულზე კი რეჟისორი თავისი ნამუშევრის ინტერნეტპრემიერას გამართავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დინგოების ხროვა ბავშვს თავს დაესხა

ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულ ფრეიზერზე ველური ძაღლი დინგოს ხროვა ექვსი წლის ბავშვს, რომელიც მშობლებთან ერთად პლაჟზე ისვენებდა, თავს დაესხა.

ზღვაში ბანაობის შემდეგ ბიჭმა გადაწყვიტა ქვიშის დიუნის წვერზე ასულიყო. იქ კი მას ჩასაფრებული ოთხი დინგო ელოდა. ერთ-ერთმა მტაცებელმა ბავშვს ფეხში სტაცა პირი და მისი გათრევა სცადა. ბიჭი მამამ გადაარჩინა, რომელმაც მის ყვირილზე მოირბინა.

– მათ სისხლი სწყუროდათ, – იხსენებს ბიჭის მამა, – გულის შემძვრელი შიშისა და ტკივილისგან გამოწვეული ყვირილი მომესმა, მივტრიალდი და დინგოების ხროვა დავინახე, რომლებიც ბავშვს თავს დაესხნენ და მის გატაცებას ცდილობდნენ.

დინგოების თავდასხმის შემდეგ ბიჭს ფეხზე ღრმა ნაიარევები დარჩა. მას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

**„მოკვდავთა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!..“ (ნ.ბარათაშვილი)**

სრულიად აფხაზეთი, ძირძველი სამურზაყანო და ყოფილი გალის მრავალდარგოვანი პროფტექსასწავლებლის პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საწარმოო სწავლების ოსტატის, სათნო ქალბატონის, დიდებული დედისა და მეოჯახის

ნარგიზა შამუგიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

იგი იყო სათნო, კეთილი, ღამაზი როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, სრულყოფილებისა და მშვენიერების განსახიერება.

მისი სათნოებითა და ცხოვრების ულამაზესი წესით ის უფრო ზეციური ქმნილება იყო, ვიდრე მიწიერი. დიდი გულისტკივილი დაუტოვა მის უახლოეს ადამიანებს და ზღვა ცრემლი გაიყოლა თან. ძნელია იმის გაფიქრებაც კი, რომ მასზე წარსულში გვექნება გახსენება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი, სპეტაკი სული!

რაჟდენ ქარდავა, გოგი მესხია, აკოტ იზორია, ლივტერ კვატანია

თემურ ჭელიძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეგობარი

იგორ ხარებავა

გუგა ჭოხონელიძე ოჯახით, ქეთი მესხიშვილი, ირინკა და დათო გულიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ თეა ბუცხრიკიძეს დედის

ნათელა ბოკერია-ბუცხრიკიძის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 24 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: ირაკლი გამრეკელის ქუჩა №6.

უდიდესი გულისტკივილით სამძიმარს ვუცხადებთ ბიძინა ლემონჯავას საყვარელი დედის

ნათელა ქუჩულორია-ლემონჯავას

გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ნათელა იყო საყვარელი პედაგოგი ახალი თაობისათვის, ჰარმონიული ოჯახის სათნო ქალბატონი, დიდებული დედა და კარგი მეოჯახე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი, უკვდავი სული!

მეგობრების სახელით, რაჟდენ ქარდავა, ბესო ქარდავა, ომარ გოგოხია, რევაზ ეზუგბაია, შალვა ბეთხოშვილი, გაბრიელ ფაცაცია, შალიკო სიხუაშვილი

შვილები მედეა, ირმა, ხათუნა, შვილიშვილები ზვიადი, სალომე, გიორგი, დავითი, შვილთაშვილი ვიქტორია, სიძე დათო ოთხოზორია, კოტე ბაიკერი, ჯეირან გამახარია იუწყებიან მამისა და ბაბუის

იგორ ხარებავას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 15 საათზე, სოფელ დარჩელში, ზუგდიდის რაიონი.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6613
- ევრო — 3.0283
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4211
- 100 რუსული რუბლი — 4.0074

ამინდის პროგნოზი 23 იანვრისთვის

15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

22 იანვრიდან



მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კარდიფის ახალწვეულის თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა

კარდიფის ახალწვეული ემილიანო სალა ნანტიდან კარდიფისკენ მიფრინავდა, როდესაც მისი თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა.

სალამ რამდენიმე დღის წინ გააფორმა კარდიფთან კონტრაქტი და 21 იანვარს კარდიფში უნდა ჩაფრენილიყო. სალასთან ერთად თვითმფრინავში, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა.

უკვე მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები, მაგრამ ჯერჯერობით – უშედეგოდ.

არის დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა და სალა დაიღუპა.

კევინ პრინს ბოატენგი ბარსელონის ფეხბურთელია

კევინ პრინც ბოატენგი ბარსელონაში ჩაფრინდა და გუნდთან კონტრაქტს ხელი მოაწერა. ბოატენგი ბარსელონაში სეზონის ბოლომდე იქნება და შემდეგ უკვე გაირკვევა, დაბრუნდება თუ არა ის სასუოლოში.

ბოატენგმა ბარსელონაში გადასვლასთან დაკავშირებით კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ მისთვის ამ გუნდში ყოფნა ოცნების ასრულებაა.

– ძალიან გამიხარდა, რომ ბარსელონამ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება ისურვა და შანსი მომეცა, ამ გუნდის მაისურით ვიასპარეზო. ბარსელონასთვის თავს არ დავზოგავ, – განაცხადა ბოატენგმა.

ბოატენგი კატალონიურ გუნდში 19-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა

ესპანელი ვარსკვლავი რაფაელ ნადალი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალში მან ამერიკელი ფრანცის ტიაფოე დაამარცხა საკმაოდ ადვილად, სამ სეტში.

ნახევარფინალში ნადალის მეტოქე ახალგაზრდა ბერძენი ციციპასი იქნება, რომელმაც წლევანდელ ტურნირში როჯერ ფედერერი დაამარცხა.

ნადალს ავსტრალიის ღია პირველობა მხოლოდ ერთხელ, 2009 წელს აქვს მოგებული.

რაფამ ავსტრალიაში რამდენიმე ფინალი წააგო.

იუმორი

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– მამაჩემი ამბობს, რომ უფრო სასიამოვნო გაცემაა, ვიდრე მიღება.

– მამაშენი ღვთისმსახურია?

– არა, მოკრივე.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, თურმე აშშ-ში მოზრდილ მამაკაცს საშუალოდ კვირაში სექსი 2-3-ჯერ აქვს, ხოლო იაპონელს 1-2-ჯერ წელიწადში.

– მართლა? არ ვიცოდი, თუ იაპონელი ვიყავი.

●●●

კაცი გაზეთში კითხულობს:

„ინდოეთში პოლიციამ მამაკაცის კობრაზე დაქორწინება ჩაშალა...“

– აბა ჩვენ პოლიციას კი არ ჰგავს, მახრჩობელას რომ ვირთავდი, არც კი გაუფრთხილებივარ, – ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ძვირფასო, მე შენთვის პირველი ვარ?

– უკვე ასჯერ მაინც მაქვს შენთვის ნათქვამი: „შენ ჩემთვის პირველი ხარ!“

– კი მაგრამ, პირველად გეკითხები.

– ბოდიში გივი.

– მე გივი კი არა, გიგი ვარ.

●●●

ცოლი საწოლზე დაწვა, ფეხები გაშალა და ქმარს ეკითხება:

– იცი რა მინდა?

– რა თქმა უნდა, ვიცი! გინდა მთელი საწოლი შენ დაიკავო...

●●●

კაცი მღვდელს ეკითხება:

– მამაო, მარხვაში ქალი შეიძლება?

– შეიძლება, შვილო ჩემო, მხოლოდ მსუქანი არ უნდა იყოს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დილას მაღვიძარას ხმა რომ მესმის, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მესროლეს.

– და მაშინვე საწოლიდან წამოხტები?

– არა, მკვდარივით ვწევარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მერაია ქერი ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს

მაისში ბლექ სი არენაზე მსოფლიო ვარსკვლავი მერაია ქერი კონცერტს გამართავს.

ზვიად ტომარაძის ინფორმაციით, ეს არის მორიგი 20 მილიონის გადაყრა:

– მორიგი 20 მილიონის გადაყრა!

ცნობილი გახდა, რომ პროექტის ფარგლებში მაისში ბლექ სი არენაზე მერაია ქერის კონცერტი გაიმართება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2019 წლის ბიუჯეტში 20 მლნ ლარი უკვე განსაზღვრულია!

2016 წელს ხელისუფლებამ 29 მილიონი გადაყარა „ჩექ ინ ჯორინიას“ პროექტის ფარგლებში მარონ 5-ის, ეროს რამაზოტისა და რობი უილიამსის კონცერტებზე გაყიდულ ბილეთებზე. პროექტების მიზანი ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდა იყო, რაც ოფიციალური დოკუმენტებით არ დადასტურდა, რადგან ბილეთების მხოლოდ 5,23% შეიძინეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, ხოლო საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის მიხედვით ამ სამ ღონისძიებას მხოლოდ 0,5% ესწრებოდა. **მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

ბრედ პიტი შარლიზ ტერონს ხვდება

მსახიობები ბრედ პიტი და შარლიზ ტერონი უკვე თვეზე მეტია ერთმანეთს ხვდებიან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული ტაბლოიდი ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, პიტი და ტერონი ერთმანეთს ამ უკანასკნელის ყოფილმა საქმრომ შონ პენმა გააცნო.

აღსანიშნავია, რომ პიტი და ტერონი დიდი ხნის მანძილზე მეგობრობდნენ, მაგრამ ახლა უკვე, როდესაც ორივე თავისუფალია, მათმა ურთიერთობამ სხვაგვარი განვითარება ჰპოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილი ერთად გასულ დასვენების დღეებში შენიშნეს. გარდა ამისა, ტერონი ლუიზიანას შტატში მდებარე პიტის სახლშიც სტუმრობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ესპანურმა სასამართლომ კრიშტიანუ რონალდუ 18 მილიონი ევროთი დააჯარიმა

ესპანურმა სასამართლომ კრიშტიანუ რონალდუ გადასახადების დამალვაში დამნაშავედ ცნო და მას 2 პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

გარდა ამისა, რონალდუს ესპანეთის ბიუჯეტში 18 მილიონი ევროს შეტანაც მოუწევს და, თუ მან ეს არ გააკეთა, შესაძლოა, ციხეშიც აღმოჩნდეს.

ბოლო პერიოდში ესპანეთში ხშირია ბრალდებები ფეხბურთელების მიმართ, რომ ისინი თავს არიდებენ გადასახადების გადახდას.

2016 წელს ლიონელ მესის სასამართლომ ასევე ორწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა. რონალდუს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ექტორ ბელერინის ტრავმა სერიოზული გამოდგა

არსენალის ესპანელი მცველის ექტორ ბელერინის ტრავმა სერიოზული გამოდგა და ის სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება თავის გუნდს.

ბელერინს მუხლის ტრავმა აწუხებს და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ბელერინის დაბრუნებას აგვისტოში ვარაუდობენ და, შესაძლოა, მან მომდევნო სეზონის დასაწყისიც გამოტოვოს.

ბელერინმა ტრავმა ჩელსისთან შეხვედრაში მიიღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. რამდენიმე თოფის, ქვემეხის ერთდროული გასროლა; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 7. გერმანელი ოპტიკომექანიკოსი, ოპტიკური მინების წარმოების დამფუძნებელი გერმანიაში; 9. ოსური ცეკვა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. ძველ რომში თავისუფალი ადამიანი, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 15. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20 პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში.

თარაზულად: 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთამთიანეთში; 6. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 8. გამოქვაბულებში, მიწისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. განუხორციელებელი ოცნება, იმედი; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა სამხრეთ ამერიკაში; 21. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 22. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა